სახალხო გაზეთი

№ 774 პარასკევი, 14 დეკემბერი 1912 წ. № 774

განცხადების ფასი ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა''-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირებს 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ,,სახალხო გაზეთი''-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, [illegible] წერილები და კორესპონდენციები სულ არ იბეჭდება; [illegible] თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. [illegible] პარიკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი'' 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წლიურ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
,, ,, თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

გამართულია ხელის მოწერა 1913 წლის ყოველ-დღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ „სახალხო გაზეთზე“

წლიწადი მეოთხე

1913 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორც აქამდის გამოდიოდა.

ყოველ დღიურ გაზეთის გარდა 1913 წელსაც გაზეთს ექნება

სურათებიანი დამატება

(კვირაობით).

პრემიად 1913 წლის წლიური ხელის მომწერნი, ე. ი. ისეთები, რომელნიც მთელი წლის საფასურს გადაიხდიან, ან წინდაწინვე განაცხადებენ გაზეთის კანტორაში, რომ წლიური ხელის-მომწერნი არიან, 1913 წლის განმავლობაში **მიიღებენ**

ორ წიგნს:

1) უცხოეთის მწერლები.

ამ წიგნში შევა სხვა და სხვა ნაწარმოებნი უცხოეთის გამოჩენილ მწერლებისა, ზომით იქნება არა ნაკლებ **400 გვერდისა** და წლიურ ხელის მომწერთ დაურიგდებათ **იანვრის დასასრულს.**

2) ქართველი მწერლები.

ამ წიგნში შევა ქართველ მწერალთა სხვა და სხვა ნაწარმოებნი, როგორც პოეტური, ისე ბელეტრისტული ზომით იქნება არა ნაკლებ **500 გვერდისა** და წლიურ ხელის-მომწერთ **დაურიგდებათ** ენკენისთვეში.

გაზეთის ფასი როგორც ტფილისში, ისე მის გარედ ღირს წელიწადში ისევ 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით 4 მან. 50 კ., ერთი თვით 75 კაპ.

გაზეთის ფასი

	წლ.	11 თ.	10 თ.	9 თ.	8 თ.	7 თ.	6 თ.	5 თ.	4 თ.	3 თ.	2 თ.	1 თ.
ტფილისში და მის გარედ	8 მ. 50 კ.	8 მ. —	7 მ. 50 კ.	6 მ. 75 კ.	6 მ. —	5 მ. 25 კ.	4 მ. 50 კ.	3 მ. 75 კ.	3 მ. —	2 მ. 25 კ.	1 მ. 50 კ.	— 75 კ.
საზღვარ გარედ	11 მ. 50 კ.	10 მ. 75 კ.	10 მ. —	9 მ. —	8 მ. —	7 მ. —	6 მ. —	5 მ. —	4 მ. —	3 მ. —	2 მ. —	1 მ. —

ცალკე ნომერი ყველგან შაური; დამატებიანი ნომერი შვიდი კაპიკი.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი ქალაქიდან ქალაქ გარედ, ან ქალაქ გარეთისა ისევ ქალაქ გარეთისაზე 40 კაპ., დანარჩენ შემთხვევაში ადრესის გამოცვლა უფასოა.

იმ ხელისმომწერმა, რომელიც **ორივე პრემიის** მიღებას **ფოსტით** მოისურვებს, გასაგზავნ ხარჯად უნდა გამოგზავნოს ხელის-მოწერის ფასთან ერთად კიდევ **ათი შაური.** ვინც რედაქციის კანტორაში მიიღებს პრემიას, იმას ეს ფული არ გადახდება.

ხელის-მოწერის პირობები:

1) წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი (8 მან. 50 კ.) შეუძლიანთ გადაიხადონ ნაწილობით, მხოლოდ აუცილებლად შემდეგს ვადებზე: ხელის მოწერისთანავე . . . . 3 მ.,
1 აპრილამდე . . 2 მ.,
1 თიბათვემდე . . 2 მ.,
1 ენკენისთვემდე . 1 მ. 50 კ.

2) გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1913 წლის გასულისა.

ხელის მოწერა გამართულია:

1) „სახალხო გაზეთი“-ს კანტორაში (სასახლის ქუჩა, სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან), რომელიც ღია დილით 9—3 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა-უქმეებისა. 20 დეკემბრიდან კი ღია იქნება: დილის 9 ს.-დან საღ. 8 ს.-დე, კვირაობით და დღესასწაულებში დილ. 11 ს.-დან ნაშუადღევის 3 ს.

2) ქ. შორის წერა-კითხ. გამავრცელ. საზოგ. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში: სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურთა ქარვასლა.

3) **ფოსტით.** Тифлисъ, Груз. газ. „Сахалхо Газети“. поч. ящ. 190.

ახალი კლუბი

შაბათს, 15 დეკემბერს, 1912 წ. გამართული იქნება

სიმფონიური კონცერტი ლევ პიშნოვის და ს. ი. პრესმანის

ლოტბარობით.

სოლისტი ლევ პიშნოვი. დაწვრილებით პროგრამაში. თეატრში შესვლა საყოველთაოა. როიალი ბეკკერისა—ბ. კერერის მაღაზიიდან.

დასაწყისი საღამოს 8½ საათზე. 1635

ელექტრო-ტეხნიკური საწყობი

კ. ი. გურგენოვისა და გ. ი. ბეგოვისა

ტფილისი, სერგიევის ქუჩა, № 4.

ამით აცნობებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ ვინაიდან მომავალი 1913 წლის 1-ლ იანვრიდან საწყობი გადადის ახალი ფირმის **„სავაჭრო სახლი იაკობ სვიმონის ძე ბეგოვი“-ს** ხელში ამ მიმდინარე დეკემბრის 10-დან თვის დამლევამდე დანიშნულია **დიდი იაფი ვაჭრობა** საელექტრო ქაღებისა და ყოველგვარ ელექტრონის გასანათებელი მასალებისა.

ფასები მეტად დაკლებულია. 860

პატივისცემით კ. ი. გურგენოვი და გ. ი. ბეგოვი.

გაგრძელდება დაკვეთა 1913 პირველ იანვრამდე:

ილია ჭავჭავაძის თხზულებანი

ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა

ლექსი და ბელეტრისტული ნაწარმოები,

(ფურცლები ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაერთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი in quarto.

ფასი 8 მანეთი, ვისაც დასაკვეთ ფულის ნაწილი უკვე შემოტანილი აქვს, დანარჩენი ფული უსათუოდ 1913 წ. პირველ იანვრამდე უნდა გადაიხადოს. წინააღმდეგ შემთხვევაში დაჰკარგავს უფლებას წიგნის მიღებისას და შემოტანილ ფულისას. გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნებ დაურიგდებათ 1913 წელში.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყოლოხოვის ქუჩა, № 20, ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან; და წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში.

ქუთაისში—წ. კ. ს. მდივან იასონ ბაქრაძესთან და იოსებ ოცხელთან.
ფოთში—იონა მეუნარგიასთან.
თელავში—თამარ აბაშიძესთან.
სამტრედიაში—ბ. ი. სტურუასთან.
ხონში—ეფროსინე ჭიჭინაძესთან.
სიღნაღში—ექ. ჯანდიერთან.
ბაქოში—ილია აგლაძესთან.
ხობუმში—ნიკო თავდგირიძესთან.
ოზურგეთში—ექ. დიმ. ერისთავთან.
ჭიათურაში—წ. კ. გ. ს. ირ. დეკანოზიშვილთან.
ერევანში—ელენე ვირსალაძესთან

ბათომში—ს. მდივანთან. **კავკავში**—სოფიო კალანდარაშვილთან. **გორში**—ნიკო ლომაურთან. **ახალციხეში**—როზალია ალელიშვილთან

ვინც წიგნის დასაკვეთად ფულს ფოსტით თვით გამომცემლის სახელზე გზავნის, მათთვის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია. 1153

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. გ. გ. მეგრაბიანცი

წამლობა ჭლექისა

ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა **ტუბერკულინ**

შინაგან სნეულებით ავადმყ. წამლობა კიდევ რადიისა და ელექტრონის პრეპარატებით. იღებს ყოვ.-დღ. **ახალ ბინაზე** დილ. 9—12 ს. და საღამ. 5—7 საათ. ადრესი: **ხოლოლობ.** ქ., ბებუთოვის ქ., № 23 (განოვისქ. კუთხ.). **ტელეფ. 7—92.** 847

ტფილისის კერძო სამკურნალო

ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან ჭაჭნიძის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და მეტეხის ხიდის ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ამბულატორიულ ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

შინაგანი სნეულებანი.	**დადიანი რ. ხ.** (ყოველ დღე) 1—2. **მანსვეტაშვილი გ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მაღალაშვილი გ. გ.** (სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ი. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ქირურგიული სნეულებანი.	**მარკევიჩი გ. ლ.** კონსულტანტი (ყოველ-დღე 11½—12½.) **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ფირალოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1. ე. ა **ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა** (სამშ. ხუთშაბ. შაბათ,) 11½ 12½.
ქალთა და [illegible] სნეულებანი.	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირალოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. **თაკაიშვილი ა. ე.** (ყოველ დღე) 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ხულბაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1.
ბავშვთა სნეულებ.	ექ. **ქალი ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** (ყო დღე, გარდა ოთხ.) 1—1½ ს. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ი. გ.** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. სნეულ. და ელექტ.	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. **დადიანი რ. ხ.** (ყოველ დღე) 1—2. **ფონდოევი, გ. ს.** (ყოველ-დღე) 1—2 ს.
ყურ. ყელ. და ცხვ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1½ **ტრემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 1½—2.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი გ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენ.	**დიასამიძე ა. ნ.** (ყოველ დღე) 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wassermann.** რეაქციისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები. კონსილიუმი. შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; ,606 " 914 და **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილისა აცრა. ძიძათა შემოწმება და სხვა შედარებითი საფასურით. წ. 1040

ხეხილის ბაღები

ქართლის საუფლისწულო მამულისა,

სივრცით ორმოც დღიურამდე, **საუკეთესო ზამთრის ჯიშის მსხალი და ვაშლებისა,** რვა ვერსის მოშორებით სადგურ ქსნიდან, ამიერ კავკასიის რკინის გზისა, და ორმოც ვერსზე ქალაქ ტფილისიდან საქართველოს სამხედრო გზითა

იჯარით უნდა გაიცეს

სამის წლის ვადით, ხ ქრისტეშობისთვესა ამა წლისა, დილის 12 საათზე, ხსენებულ მამულის კანტორაში, სოფელ მუხრანში სტანცია ქსანკ, ამ. ვ. რ. გ.

ცნობების მიღება შეიძლება ამ მისამართით: **სადგური ქსანკა, ამ. ვ. რ. გ.** 842

ნაფიც-ვექილ. თანაშ.

გიორგი პავლეს ძე გორდეზიანი

გადავიდა ჩერქეზიშვილის ქუჩაზე (ავჭალის ქუჩა), № 57. 829

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1. ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყოლოხოვის ქ. № 20. წ. 1122

საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის პირდაპირ ბლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათ. [illegible]ან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1020

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე. შინაგან ავადმყ. [illegible] 10 [illegible]

ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფი[illegible] კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

ბ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ და ცხვ. სნეულ. 11—11½.

ექ. ქალი იოსელიან სა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშ[აბათობით], ხუთშაბათობით და შაბათობით 11—11½ საათ.

ნ. მ. მელიქიშვილი ქირურგიულ[illegible] ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

ივ. გომართელი.—ყ.-დღ. შინაგ. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი ჩხრეკისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით,

წამლობა „606“ [illegible]

ექიმი ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 საათ. და 4—5 საათ. გოლოვინის პრ. № 12. 1334

ექიმი ს. ი. ბძლიშვილი

იღებს ავადმყოფებს შინაგნეულ და ვენერიულ ავადმყოფებს, დილით 9—12 ს. და საღამოს 6—8 ს. **დიდუბე,** საგურამოს ქუჩ. № 21, სახლი ხრამელაშვილისა. 1411

ექიმი ი. კ. აბაკელია

იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოს 4½—6½ საათ. **ელისაბედის ქ. № 7,** ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ. 789

ექიმი შ. ა. მიქელაძე

იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. [illegible] № 6

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე

იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლგას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი პაქარაშვილისა

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3. ს. [illegible]

ექიმი ქალი დ. გ. საყვარელიძე.

იღებს ავადმყოფებს ქალისა და საბებიო. ნაშუადღ. 1—2 ს., საღამოს 5 6 საათამდე.

კიროჩნის ქუჩა, № 9. 595.

ექიმი ი. ი. ზერიშვილი

სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. შოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედ. ქ., № 94,** საფოსტო განყოფ. პირდაპირ 530

სახელმწიფო საბჭო

12 დეკემბრის სხდომა.

გოლუბევი თავმჯდომარეობს.

საფინანსო კომისიამ შეიტანა წინადადება, რომ სავაჭრო ნავთსადგურთა ადგილობრივ მმართველობის კანონ-პროექტი ცალკე კომისიას გადაეცესო, რომლის დადგენილება სახელმწიფოს მიერ ფულის გაცემაზე საბოლოო გადასაწყვეტად გადაეცემა საფინანსო კომისიას. საბჭომ წინადადება მიიღო.

განსახილველია კომისიის მოხსენება სავაჭრო სახლებისა, კანტორებისა და საწყობებში სამუშაო დღის განსაზღვრის კანონ-პროექტზე.

მომხსენებელი **ტრეპოლტოვი.** სათათბიროს კანონ-პროექტი, რომელიც ბევრში ეთანხმება მთავრობის

კანონ-პროექტს, საბჭოს კომისიამ არსებითად შესცვალა. განსაკუთრებით შეცვლილია ის მუხლი, რომელიც ეხება სავალდებულო დადგენილებით სამუშაო დღის მოწესრიგებას. კომისიას ეს წესი სამართლიანად არ მიაჩნია: მხოლოდ კანონმდებელს, და არა ადგილობრივ თვითმართველობას, შეუძლიან განსაზღვროს სამუშაო დღის ხანგრძლივობა.

ვაჭრობის მინისტრმა დაწვრილებით განიხილა კანონ-პროექტის ძირითადი დებულებანი, მოიყვანა სასტატისტიკო ცნობები, იმის დამასაბუთებლად, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კანონ-პროექტს სავაჭრო სახლთა მუშაობის მოწესრიგების საქმეში, მინისტრი გამოექამათა კანონ-პროექტის მოწინააღმდეგეთ; განსაკუთრებით მსმენელთა ყურადღება შეაჩერა ქალაქისა და ერობის თვით-მართველობის სავალდებულო დადგენილებათა საკითხზე. მინისტრმა სთქვა: კანონ-პროექტი ხანგრძლივ მუშაობის ნაყოფია, მისი წინასწარი განხილვა მოხდა ვაჭრებისა და მოსამსახურეთა წარმომადგენლების თანადასწრებით.

კრამერი. ჩემს მოვალეობად ვთვლი, როგორც ვაჭართა და მრეწველთა წარმომადგენელი, განვაცხადო, რომ კომისიის პროექტი პრაქტიკულის მოსაზრებით, ყოვლად შეუწყნარებელია. იმის მაგივრად, რომ გამოიცეს კანონი მომუშავეთა ნორმალურ დასვენების უზრუნველსაყოფად, კომისია გვაწვდის პატრონთა ინტერესების დამცველ კანონს. ქალაქ რიგის თვით-მართველობის დადგენილება უფრო უკეთეს მდგომარეობაში აყენებს მოსამსახურეთ, ვიდრე კომისიის პროექტი.

სხდომის შეწყვეტის შემდეგ ლაპარაკობს **ზინოვიევი მეორე.** ამ ბოლო დროს მომუშავეთა და პატრონთა ურთიერთობა ნორმალურ კალაპოტში ჩადგა. სრულიად არ არის საჭირო სხვა და სხვა კომისიის დადგენილებით ეს ურთიერთობა დაირღვეს. კანონპროექტი მოითხოვს ძირითად ცვლილებას. კანონპროექტმა მხოლოდ საერთო ნორმები უნდა აღნიშნოს. დანარჩენი კი მიენდოს ადგილობრივ დაწესებულებებს.

კოვალევსკი. 1906 წელს, 87 მუხლის ძალით გამოიცა კანონი. იგი უკვე ცხოვრებაშია შესული. კანონი შეითვისეს ნოქრებმაც, რადგანაც მათ შორის არავითარ გაუგებრობას არა ჰბადებს. ამ კანონის შესწორება გამოიწვევს კანონის მთლად უარყოფას. არ შეიძლება მოსამსახურეთა მდგომარეობა გავაუარესოთ. მოლაპარაკე მინისტრის წინადადების მომხრეა.

გურკო. კანონი არ უნდა ეხებოდეს ვაჭრობის წარმოებას. ვაჭრობის აუცილებელი ელემენტები არის— გამყიდავი და მყიდველი; ნოქარი მეორე ხარისხოვანი ორგანოა. ყოვლად შეუძლებელია ნოქრის გულისთვის მთელ სავაჭრო წეს-რიგის შეცვლა. მოლაპარაკეს ვერ გაუგია, რატომ არ შეიძლება დაარსონ სავაჭრო ინსპექცია. სრულიად უსაფუძვლოა კალამშრება მოსამსახურეთა მორიგეობის წინააღმდეგ. სავაჭრო მოქიშპეების პირობები მაშინ შეიცვლება, თუ სავაჭრო დროს არ შევზღუდავთ. კანონ-პროექტი მოქიშპეობას მოსპობას უქადის, რომელიც პროგრესის და კულტურის ძლიერი ფაქტორია. ეს სოციალისტური პრინციპია და ადგილობრივ თანაგრძნობას არ გამოიწვევს. საჭიროა მოსამსახურეთა დასვენების მოწესრიგება, როგორც ეს არის საზღვარ-გარედ, და არა ვაჭრობით წარმოებისა. კანონ-პროექტი მოსამსახურეთა ინტერეს სრულიად არ შეესაბამება, რადგანაც ძირს უთხრის შრომის დარგს, რომელიც მათი ცხოვრების ერთად-ერთი წყაროა. მოლაპარაკის აზრით, საჭიროა, რომ მუშათა საპროფესიო კავშირების დაარსებას ხელი შეეწყოს.

ბობრინსკი. კანონ-პროექტი არავის არ აკმაყოფილებს: კანონ-პროექტის მომხრეთა აზრით, დღევანდელ პირობებში სხვა კანონ-პროექტის შემუშავება შეუძლებელია. ახალმა კანონმა ვაჭრობას დიდი ზიანი მიაყენა. საჭიროა კანონ პროექტი ხელ-ახლად დაუბრუნდეს კომისიას.

გურკო ბობრინსკის წინადადების მომხრეა.

გრიმი. კანონ-პროექტის ხელ-ახლად გადაცემა კომისიაში უსარგებლოა. იგი ყოველ მხრით განიხილა კომისიამ. აზრთა წინააღმდეგობა მუდამ იქნება.

საბჭომ უარჰყო კანონ-პროექტის კომისიაში გადაცემა.

შემდეგი სხდომა იქნება 14 ქრისტეშობისთვეს.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **არქ მანდრიტი დოსითეოსი** თანახმად უწმ. სინოდისაგან მიღებულ უქაზისა დანიშნულ იქმნა მოწამეთის წმ. დავით და კონსტანტინეს მონასტრის წინამძღვრად.

◆ **თავის მოკვლის განზრახვით** 12 დეკემბერს, ნაშუადღევის 3 საათზე, თავი მოიწამლა „პალე-როიალის“ ნომრებში მცხოვრებმა 21 წლის ქალმა ეკატერინე ანდრიას ასულმა გლადიშევმა, რომელიც მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს სამკურნალო დახმარების აღმოსაჩენად.

◆ დეპეშათა ცნობით, **საქართველოს ეგზარხოსი ინოკენტი** ხელმწიფე იმპერატორს წარუდგა.

◆ მკითხველებს ეხსომებათ, რომ დონის-როსტოვში გაიმართა ქართული საღამო და ბ. გ. მ. დავიდოვსკის ხორომ მშვენივრად შეასრულა რამდენიმე ქართული სიმღერა. ბ. დავიდოვსკი მეტად დაინტერესდა ქართული მუსიკით და გადასწყვიტა საკონცერტო რეპერტუარში ქართული სიმღერებიც შეეტანა. ამ დღეებში ბ. დავიდოვსკის ხორომ კონცერტი გამართა ქ. ტაგანროგში და სხვა ნომრებთან ერთად შეასრულა ქართული სიმღერებიც. გაზ. „პრიაზ. კრაი“ გადმოგვცემს, კონცერტმა მშვენივრად ჩაიარაო და სხვათა შორის აღნიშნავს იმასაც, რომ საზოგადოებას უფრო მოეწონა ხორის მიერ შესრულებული შემდეგი ნომრები: „ადონაი სხორონიე“—ძველი ებრაული მელოდია, „ცანგალა და გოგონა“. ქართული ხალხური სიმღერა, „უკრაინა“, „კობზა“ მუსიკა თვით ბ. დავიდოვსკისა“ და სხვ.

როგორც გავიგეთ, ბ. დავიდოვსკი სხვა ახლო მახლო ქალაქებშიაც აპირობს კონცერტების გამართვას და ქართული სიმღერების შესრულებას.

◆ რედაქციამ მიიღო ჟურნალი „შრომის კავშირი“ № 5 შემდეგის შინაარსით: 1) მოწინავე: კოოპერაცია და ქველმოქმედება; 2) მომხმარებელი, საკრედიტო, სამეურნეო და სხვა კოოპერატივების გამგეობებს; 3) ხალხის მოსარჩლე (სცენები სოფლის ცხოვრებიდან); 4) კოოპერატივებისა და კოოპერატორების საქმეები ჩვენში,—თევდ. ღლონტისა; 5) საკოოპერაციო მოძრაობა ინგლისში,—დ. ღამბაშიძისა; 6) შულცე-დელიჩი, ბიოგრაფია სურათით; 7) საკოოპერაციო დღესასწაული ბელგიაში; 8) კოოპერაციის განვითარება ჩვენში და უცხოეთში.

◆ **აბანოებში** ქალაქის საბჭოს მიერ გამოცემულ სავალდებულო დადგენილებათა ძალით აბანოებში მექისეები თვეში ერთხელ უნდა იქმნენ შემოწმებული ექიმებისაგან, რათა მექისეებს რაიმე გადამდები ავადმყოფობა არა ჰქონდეთ. პოლიცმეისტერმა განკარგულება მოახდინა რათა ეს დადგენილება ყველა მეაბანოვემ შეასრულოს.

◆ **ქალაქის საელექტრონო სადგური** ამ დღეებში შეამოწმებს საგანგებო კომისია, რომელშიაც იქნებიან საგუბერნიო სამმართველოს ტეხნიკოსები და ქალაქის თვითმმართველობის წარმომადგენელნი.

◆ 12 დეკემბერს, დილის 7 საათზე, მიხეილის პროსპექტზე უეცრად გარდაიცვალა გორის მაზრის სოფელ ახალქალაქის მცხოვრები ალექსი ავეტისას-ძე კუროღლიანცი, 60 წლისა.

◆ ტფილისში უკვალოდ დაიკარგა ალექსი დიმიტრის-ძე ქაჯაია (თექვსმეტი წლისა), რომელიც დედ-მამის სახლში სცხოვრობდა დიდუბეში (დიდუბის ქუჩ. თექვსმეტი).

◆ თერმეტ დეკემბერს ტფილისში 33 უპასპორტო შეიპყრეს.

საზოგადოებანი და კრებები

◆ სახალხო და საყმაწვილო წიგნების გამავრცელებელ ამხანაგობის—„სხივის“ თავმჯდომარემ ქ-ნმა ანასტასია-წერეთლისამ 11 ქრისტეშობისთვეს მოიწვია „სხივის“ წევრნი. კრებამ დაადგინა: დაბეჭდილ ოთხ წიგნიდან ორი („ჯუზეპე გარიბალდი“ და „ეროვნული საკითხი“) ენკ-ვე დაურიგოს მაღაზიებს გასასყიდად და შეუდგნენ ახალ საყმაწვილო წიგნის ბეჭვდას.

◆ ხვალ, 15 დეკემბერს, შეერთებული კრება ექნება ქალაქის გამგეობასა, სატეხნიკო და სადგილმამულო კომისიას. კრებამ უნდა განიხილოს საკითხი კვესისა, ახვერდოვისა და პონდოევის მიწების მოწესრიგების შესახებ.

სასწავლებლებში

◆ ტფ. ქალთა უმაღლეს კურსების საბჭოს უკანასკნელ კრებამ მოისმინა წინადადება, რომ კურსებმა მონაწილეობა მიიღოს ქალთა განათლების სრულიად რუსეთის პირველ კრებაში მონაწილეობის შესახებ და მიანდო წევრებს: ნ. დუბროვსკის, ი. ვერხოვსკის, ვ. ბოგოვსკის და ო. სოგომონოვისას, კურსების საბჭოს მხრივ სალამი უძღვნან კრებას და „უმაღლეს განათლებას“ სექციაში რამდენიმე საპროგრამო მოხსენება წაიკითხონ. ეს კრება მოხდება პეტერბურგში საშობაო კანიკულების დროს.

◆ **ქალაქის საბჭოს სასკოლო კომისიის** კრება დღეს მოხდება. კომისიამ შანხაზაროვისა და ლორის-მელიქოვის სახელობის სტიპენდიები უნდა გაანაწილოს.

სომეხთა ცხოვრება

◆ იანვარში სრულდება 25 წლის თავი, რაც სცენაზე მოღვაწეობს სომეხთა ცნობილი მსახიობი არშაკ არუთიუნიანი. ამის გამო შესდგა საგანგებო კომისია, რომელმაც გადასწყვიტა, იუბილე 4 თებერვალს გადაიხადოს.

ქუთაისი.

◆ ქუთაისიდან ტფილისში მეფის მოადგილესთან გაემგზავრა დეპუტაცია შემდგარი საგუბერნიო, შორაპნის, ლეჩხუმისა და რაჭის მარშლებისაგან სათავად აზნაურო გიმნაზიის შესახებ. სხვათა შორის შუამდგომლობენ მეფის მოადგილესთან მზრუნველის განკარგულების შეცვლაზე. განკარგულება შემდეგია: თვითეულ კლასში რიცხვი მოწაფეებისა არ უნდა აღემატებოდეს 40.

◆ ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების ინსპექტორები მათდამი რწმუნებულ სასოფლო სკოლების სარევიზიოდ გაემგზავრნენ გუბერნიის სხვა და სხვა სოფლებში.

◆ როგორც სვანეთიდან მოსულნი გადმოგვცემენ—სვანეთის ზოგიერთ სოფლებში შიმშილობა დაიწყო.

◆ კავკასიის საოლქო სამხედრო სასამართლოს სესია ჩამოვიდა ქუთაისში და უკვე შეუდგა სამხედრო სამართალში მიცემულ პირთა საქმის გარჩევას.

◆ **სიმინდ ს ფასი.** ფუთი სიმინდი ხონის ბაზარზე ამ ჟამად ფასობს: ხონში 80—90 კაპ.; სამტრედ. ბაზარზე 90—95; ქუთაისის ბაზარზე 90 კ.; 1 მ. ფქვილი ფასობს ხონში 90 კ.—1 მანეთი, სამტრედიაში 1 მანეთი. ქუთაისში 1 მ. —1 მ. 10 კ.

◆ კავკასიის მთავარ სააბრეშუმო სადგურის განყოფილებისათვის ქუთაისში მიწა უკვე შეიძინეს და, როგორც გადმოგვცეს, ამ განყოფილებისათვის მალე საკუთარ ბინას ააგებენ.

◆ ახლო მომავალში ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების ხონის განყოფილებას გაზრახული აქვს გამართოს ხონში ილიას საღამო. ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაზე ლექციის წასაკითხავად ზემოაღნიშნულ საზოგადოების ხონის განყოფილებას ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის თავმჯდომარე ბ. ალ. გარსევანიშვილი მიუწვევიათ.

— ბაღდადის გზაზე ამ რამოდენიმე თვის წინად მდინარე „შავ-წყალაზე“ ააგეს ხიდი. ეს ხიდი წარსულ კვირაში სულ გაანადგურა გახშირებულ წვიმებისაგან ადიდებულმა „შავ წყალმა“.

◆ **წვრილი კრედიტის** დაწესებულებათა კავშირი. როგორც ვიცით, შარშან ქუთაისის გუბერნიის წვრილი კრედიტის დაწესებულებათა წარმომადგენელთა კრებამ აუცილებელ საჭიროებად სცნო საკრედიტო და შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობათა საგუბერნიო კავშირის დაარსება და აირჩია საამისო კომისია. უკანასკნელის თაოსნობით 21 ამ ქრისტეშობისთვეს (დილის 11 საათზე, ქუთაისის ხელოსანთა საკრ. ამხანაგობაში, მოწვეულია საკრედიტო და შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობათა რწმუნებულების კრება, რომლის მიზანია ფინანსთა მინისტრთან დასამტკიცებლად წარსადგენი კავშირის წესდების განხილვა. იმ ამხანაგობებმა, რომელთა საზოგადო კრებამ უკვე სასურველად იცნო ასეთი კავშირის დაარსება, უნდა გამოგზანონ ქუთაისში აღნიშნულ დღეს დელეგატები გამგეობისაგან მიცემული რწმუნებულების ქაღალდით და ამის შესახებ საზოგადო კრების დადგენილების პირით. კრებაზე შეუძლიანთ და სასურველია დაესწრონ ისეთი ამხანაგობების წარმომადგენელნიც, რომელთაც ჯერ კიდევ არ ჰქონიათ მსჯელობა კავშირის შესახებ. ამ დღესვე აირჩევა კავშირის დროებითი ბიუროს წევრები.

— სენაკის მაზრის საზოგადოებაში მთავრობის განკარგულებით დაიწყო ახალი მამასახლისების არჩევნები.

— ახლად გახსნილი აბაშის მომხმარებელი საზოგადოება 1 იანვრიდან ს. ნოსირში ხსნის თავის განყოფილებას. („მერცხალი“).

ჟურნალისტის დღიური

შთაბეჭდილებანი.

9 დეკემბერს დეპუტატთა საკრებულოში გაიმართა კერძო თათბირი კახეთის რკინის გზის გამო. თათბირზე ერთმანეთს შეეჯახა ორი მოწინააღმდეგე ბანაკი. უმთავრესი საკითხი—სასარგებლოა ჩვენთვის თუ არა, რომ კახეთის რკინის გზის ბატონ-პატრონობა თავად-აზნაურობას შერჩენოდა. ხელში—თათბირმა ვერ გამოარკვია, თუმცა თავმჯდომარემ სწორედ ასე დასვა საკითხი. ჩვენს რედაქციას ხელში აქვს დოკუმენტები, რომელნიც ამჟღავნებენ, ვინ რანაირი როლი ითამაშა კახეთის რკინის გზის საქმეში. ამ დოკუმენტებს ჯერ-ჯერობით არ ვაქვეყნებთ მხოლოდ იმიტომ, რომ ვშიშობთ ამან ხელი არ შეუშალოს კახეთის რკინის გზის საქმის დაბოლოვებას ჩვენდა სასარგებლოდ. როდესაც საქმე ასე თუ ისე გადასწყდება, მაშინ დოკუმენტებსაც გამოვაქვეყნებთ, და დაე მიუდგომელმა საზოგადოებამ თავისი მსჯავრი დასდოს.

დღეს დღეობით კი გვინდა გავუზიაროთ მკითხველებს ჩვენი შთაბეჭდილებანი კახეთის რკინის გზის საკითხის გამოსარკვევად დანიშნულ თათბირის შესახებ. ჩვენ გვქონდა შემთხვევა აღგვენიშნა, რომ ამ საკითხის გადაწყვეტის დროს ერთმანეთს უპირისპირდება ადგილობრივი და სახელმწიფოებრივი ინტერესი. კახეთის რკინის გზის სარგებლიანობას იმდენი მნიშვნელობა არ ჰქონდა ამ საკითხის გადაწყვეტის დროს, რამდენადაც ადგილობრივ და სახელმწიფოებრივ ინტერესების დაპირისპირებას. იმ დოკუმენტებიდან, რომელიც ჩვენა გვაქვს ხელთ, ეს ნათლადა სჩანს, მაგრამ 9 დეკემბერს გამართულმა თათბირმაც კი ცხად ჰყო: თავ. პ. თუმანიშვილმა პირდაპირა სთქვა, როდესაც სწყდება ისეთი საკითხი, რომელსაც მთელი კავკასიისთვისა აქვს მნიშვნელობა, ნურას უკაცრავად, თუ მას ვამჯობინებ ოთხი მაზრის ინტერესებსა, სწორედ ისევე, როგორც კავკასიის ინტერესს ვამჯობინებ ქართულ ეროვნულ სკოლასაო. მაშასადამე, თვით თავ. პ. თუმანიშვილიც კი ჰგრძნობს, რომ სასწორზე იდება ორი სხვა და სხვა ღირებულების საქმე. ერთს მნიშვნელობა აქვს კერძოდ ჩვენთვის, ქართველებისთვის; მეორეს მთელი კავკასიისთვის. რა თქმა უნდა თავ. პ. თუმანიშვილს სრული უფლება აქვს ან ერთი ამჯობინოს, ან მეორე. მას სრული უფლება აქვს ქართული ეროვნული სკოლა კავკასიის უნივერსიტეტზე გასცვალოს და კახეთის რკინის გზა კი, რომელსაც მნიშვნელობა აქვს

კრიტიკული შენიშვნები

„სიყმაწვილე“, რომანი ე. ჩირიკოვისა.

(დასასრული *)

ამგვარად გენადი ყველასაგან მიტოვებულია, მაგრამ მკითხველს რაღაც იმედის ნაწილი რჩება, რომ იგი კვლავ შეხვდება ოქროს-ფრთიან მტრედს და ეს შეხვედრა იქნება ბედნიერი და მაშასადამე სასურველიც. ამას რასაკვირველია, მალე გავიგებთ; იმავ „ვესტნიკ ევროპა“-ში იბეჭდება „სიყმაწვილის“ გაგრძელება: „განძევებას“ სათაურით (გენადი ციმბირში გადასახლებულია). როდესაც იგი დამთავრდება, ჩვენ კვლავ გამოველაპარაკებით ქართველ მკითხველს მის შესახებ. ეხლა კი ორიოდე სიტყვა ვსთქვათ „სიყმაწვილეზე“.

როდესაც კითხულობთ ამ რომანს, იგი თქვენზე მეტად ძლიერ გავლენას ჰპოულობს; გიტაცებთ შინაარსის მსვლელობით და ღრმად გაფიქრებთ უმთავრესი გმირის სულიერი განწყობილებით. ხოლო გავლენა იგი მეტად საამური და შვების მომგვრელია და არა მძიმე და სულის შემხუთველი, როგორსაც ზოგიერთი თანამედროვე მწერლების ნაწარმოები სტოვებს მკითხველზე. მართალია, ზოგიერთი კრიტიკოსის აზრით ეს რომანი უკან დაბრუნებაა რუსულ კაზმულ-მწერლობაში; რომ იგი ტურგენევის ნაწარმოებთა მსგავს შემოქმედების მკვდრეთით აღდგომაა და ეს კი არა სასურველიაო, რადგან დღეს მკითხველს რეალიზმი აღარ აკმაყოფილებს; დღეს მკითხველის სული რაღაც ძიებითაა მოცული და ამ ძიების განსახიერებას, მხატვრულ ფორმებში ჩამოსხმას ეძიებს იგი კაზმულ ნაწარმოებშიო; ზოგიერთი მწერალი დღეს უკვე მივიდა იმ ადგილს, სადაც ქიშკარი სდგას, რომლის შემწეობითაც იგი იქით მხარეს გადაიხედავს და მით შესრულებს, დააკმაყოფილებს თავის სულის მეტად ძლიერ და მწვავე შეკითხვებსო. ამ მხრივ, წარმოიდგინეთ, ლეონიდ ანდრეევს მაღლა აყენებენ დიდებულ მოძღვარ მასწავლებელ ტოლსტოიზე. **ლეონიდ ანდრეევი** მთელს თავის სიცოცხლეში მუდამ **ძიებაშია** და ჰსურს თავისი განსაკუთრებითი რამ შეჰქმნას თვისი შემოქმედებით; **ტოლსტოიც** ეძიებდა ცხოვრებისათვის ჭეშმარიტებას, მის აზრს და მნიშვნელობას, მაგრამ მან ვერ შესძლო აეცილა ყველა ის ტანჯვა სულისა, რომელიც თან სდევს ძიებას და ქრისტეს მოძღვრების კალთის ქვეშ შეაფარა თავიო.

მაგრამ ჩვენ ასეთ აზრს ვერ დავეთანხმებით. ჩემის აზრით რეალიზმი არასოდეს არ დაჰკარგავს თვის მნიშვნელობას, რადგან ზემოხსენებულ ყალიბის ნაწარმოებნი მეტისმეტად დროულნი არიან; მათი სიცოცხლე სულ რამოდენიმე წლით თუ განისაზღვრება. შეიძლება თამამად ითქვას, რომ მოკლე ხანში ლეონიდ ანდრეევის და მის მსგავს მწერლების ნაწარმოებებმა დაჰკარგონ თვისი სიცხოველე, თვისი მიმზიდველობა, ხოლო ლევ ტოლსტოის ღრმად მხატვრული რომანი: „ომი და ზავი“ დიდხანს გამოიწვევს კიდევ მკითხველის გულში აღფრთოვანებას, ღრმად ჩააფიქრებს მას. გარდა ამისა, მე რეალიზმი სრულიად არ მესმის უფერ ნატურალიზმად, თითქოს მის მოვალეობას მხოლოდ ცხოვრების მოვლენათა ოქმების შედგენა წარმოადგენს. ეს აზრი არა ერთხელ გამომითქვამს ჩემს საკრიტიკო წერილებში. მწერალი ასწერს ცხოვრებას და რასაკვირველია იგი ზურგს ვერ შეაქცევს იმ ძიებასაც, რომელიც თან სდევს ადამიანის სულს. არა ერთი და ორი მაგალითი მომიყვანია ჩემს წერილებში, რომ უკიდურეს ემპირიულ მიმართულების გონების მქონე პირნიც ვერ ასცილებიან სულის სასოწარკვეთილ შეკითხვებს: ცხოვრების დანიშნულებისა, ადამიანის გაჩენისა და სიკვდილის შესახებ და არა ერთი და ორი საათი გააუტარებიათ მათ შესახებ ღრმა ფიქრში. ამგვარად, როდესაც მწერალი გვისურათებს ადამიანის სულის ძიებას, იგი სადღაც ოცნებიდან კი არ იღებს მასალას თვისი შემოქმედებისას, არამედ ცხოვრებიდან და იგი ამ მხრივ რეალისტია, ცხოვრების დამსურათებელი, ხოლო ცხოვრების მისი მრავალ-ფეროვანი მხარეებით და არა მხოლოდ მით, რაც თვალში გვეჩხირება.

ეს ასეა, მაგრამ მე არა მესმის-რა იმ ნაწარმოებისა, რომელშიაც ფატალისტ-პესსიმისტ მწერალს თავს უდვია თავის წინასწარ-აღებულ იდეის გამართლება; ასეთ ნაწარმოების თვითეულ ბწკარიდან, თვითეულ სიტყვასა, თუ ასოს შორის რაღაც განსაკუთრებითი აზრის ამოკითხვას ლამობენ. და სწორედ ამაშია ის ხანმოკლეობა, რომლითაც დახასიათდება უკანასკნელ დროის რუსეთის ზოგიერთ მწერლების ნაწარმოებნი: იგინი მხოლოდ პირველ გამოქვეყნების დროს იწვევენ ყურადღებას და მალე ივიწყებს მათ კიდეც მკითხველი.

კერძოდ, ე. ჩირიკოვის ახალი რომანი: „სიყმაწვილე“ სწორედ იმისია მკითხველისათვის ძვირფასი, რომ გვისურათებს ცხოვრებას თვისი მრავალ-ფეროვანი მხარეებით და ამასთანავე სრულიად არ არის მოკლებული სადღეისო ინტერესს. ამასთანავე მწერალი მოგვითხრობს არა რაიმე თვალსაზრისის გავლენის ქვეშ თვის რომანს, არამედ თავისუფლად, ისე როგორც ეს მას ევლინება. და ამისათვის რომანი იგი გიზიარებსთ ახალ ცხოვრებას, თვალწინ გიშლისთ მის მრავალ-ფეროვან მხარეებს და არა სასომიხდილსა და დაღვრემილს გტოვებთ, არამედ რაღაც საამური განცდის შემდეგ გიჩენებსთ მომავლის იმედს. ასეთია ჩვენი საერთო აზრი ამ რომანის შესახებ. გადავიდეთ გმირების ცალკ-ცალკე დახასიათებაზე.

პირველად. ყოვლისა ჩვენთვის საყურადღებოა გამოვარკვიოთ გენადი ტარხანოვის პიროვნება. გენადი ტარხანოვი, ახლად კურს დამთავრებული გიმნაზიელია. რომლის მკერდს ქვეშ მძლავრად მოუყრია თავი ახალგაზდურ აღფრთოვანებისა და გატაცების გრძნობებს, მწერალს მართლაც რომ მიმზიდველად და სისრულით აქვს გადმოცემული: ყოველი მისი ნაბიჯი, მისი სიტყვა, თქვენთვის ნაცნობია, იგი ან თქვენს სიყმაწვილეს გაგონებსთ და ან ეხლანდელს თქვენს ცხოვრებას გიშლისთ თვალ-წინ; გენადი ტარხანოვის ყოველი იმედი, ან სასოწარკვეთა თქვენი იმედი და სასოწარკვეთა, რადგან გენადი წარმოგვიდგენს თვის არსებაში იმ სიყმაწვილეს, რომელიც თვითოეულ ჩვენთაგანს განუცდია და ან ამ ჟამად განიცდის. მოვიგონოთ, თუ გინდ, გენადის ზოიასადმი პირველ გრძნობის მხილება. თვითოეულ ჩვენთაგანს უეჭველია განუცდია ის ბედნიერი წუთები, როდესაც ახალგაზდების გული შეუჩერებელის მიმზიდველობით მიიწევს საყვარელ არსებისადმი. და მართლაც გენადის ზოიასთან შეხვედრა, მათი გაცნობა, მეცადინეობა ალგებრაში, სიყვარულის ახსნა, მოგზაურობა ვოლგაზე ისეთი სინამდვილით აქვს გადმოცემული მწერალს, რომ გენადი ტარხანოვი ჩვენთვის სიყმაწვილის ნამდვილი წარმომადგენელია. ასეთივეა გენადი ტარხანოვი სოფელშიაც, სადაც „შავით მოსილი“ კალერია ყოველივე საშუალებას ხმარობს, რომ გენადის ყურადღება მიიზიდოს, გენადი კი თვის ოქროს ფრთიან მტრედის ფიქრში ატარებდა დროს და მის გულში თითქოს ადგილი აღარავის ჰქონდა. მაგრამ კალერიასთანა ქალები ევრე ადვილად არავის დაეხსნებიან, სანამ თვის წადილს არ შეისრულებენ, მერე კი პირველი თვით მიიმალებიან. ვოვოჩკას სიკვდილით თითქოს ღრმად შეწუხებულმა კალერიამ პირველად მიიპყრო გენადის ყურადღება და მის გულში სიბრალული გამოიწვია. სიბრალულს კი ის მოჰყვა, რომ ძვირფასი „ოქროს ფრთიანი“ ზოია იძულებული გახდა ადგილი დაეთმო „შავით მოსილ“ მანდილოსნისათვის. კალერიამაც მშვენივრად ისარგებლა თვისი მდგომარეობით, სქესობრივ ცხოვრების ჯერ სრულიად უცნობი გენადი ვნებათა ბურუსში გაახვია და მისთვის ჯერ არ განცდილ, ხოლო ძალზე საამურ ზღაპრების თხრობით თვის მონად შექმნა იგი. გენადის მოქმედება აქაც სრულის სინამდვილით აა გადმოცემული. ეს ასედაც უნდა მომხდარიყო, დროებით „ოქროს ფრთოსანი“ მტრედი „შავით მოსილ“ ქალს უნდა დაეჩრდილა, მაგრამ, ვიმეორებ **მხოლოდ დროებით,** რადგან კალერიასთანა ქალებს განა ძალუძთ ხანგრძლივად მიიზიდონ ადამიანის გრძნობა? გენადი სტკბებოდა მით, რასაც კალერიას მშვენიერი სხეული ანიჭებდა, მაგრამ ეს ხანგრძლივად ვერ გაგრძელდებოდა და ამას მშვენივრად გრძნობდა კალერიაც და უკანასკნელ ზღაპრის თხრობის შემდეგ აკი კიდეც დაუტევა გენადი! ასეთ მდგომარეობაში მყოფი გენადი თქვენს სრულს თანაგრძნობას იწვევს, თქვენც იტანჯებით მასთან ერთად, ფიქრით ხშირად ზოიას,—დავიწყებულ ზოიას, მდგომარეობას მიაპყრობთ გონების თვალს და სულით გწყურიათ, რომ „ოქროს ფრთიანს“ მალე კვლავ დაუბრუნდეს კალერიასაგან კეთილ გზას დაშორებული გენადი, და როდესაც იგი გასრესილი, მწვავე და შემხუთველ გრძნობებით შეპყრობილი, კალესიასგანაც კი უკუგდებული, თვის სახლს უახლოვდება, ამ ჟამად თქვენ მასთან ხართ და მასთან ერთად იზიარებთ მისი ახალგაზდა გულის კვნესას და ჭრილობებს,

შეიძლება აქ ერთ რამეში არ დავეთანხმოთ მწერალს; რაღაც არაბუნებრივად მოსჩანს კალერიასა და გენადის ტყის დარაჯის ქოხში დასახლება; თუმცა ამ ჟამად მათთვის სწორედ ისეთი მიყრუებული ადგილი იყო საჭირო, როგორიც მათ მონახეს.

ყველაზე ძვირფასი მკითხველისათვის გენადის სტუდენტობის ხანის აღწერაა. გენადის აღფრთოვანება და გატაცება საზოგადო საქმეებით, ხომ ყველა ჩვენთაგანის გატაცებაა; ვინც ერთხელ მაინც ყოფილა აღტყინებული საზოგადო საქმეების სამსახურით, იგი უეჭველია დიდს სიამოვნებას განიცდის იმ ფურცლების წაკითხვით, რომელნიც გენადის მო-

---

*) იხ. „სახალხო გაზეთი“ № 772.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა ოთხი მაზრისთვის, როგორც თავ. პ. თუმანიშვილი ბრძანებს, არამედ მთელი საქართველოსთვის, გასცვალოს მთელი კავკასიისთვის სასარგებლო რკინის გზისთვის, მაგრამ მაშინ აღარ უნდა ატაროს სახელი **ქართველი** საზოგადო მოღვაწისა, რომელსაც გათვალისწინებული აქვს ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა და იცის, რანაირ მუშაობასაც მოითხოვს დღევანდელი კრიტიკული მომენტი ჩვენს ეროვნულ მოქმედებაში აუცილებლად უნდა არსებობდეს მთლიანობა, სისტემა. თვითოეული ქართველის მოქმედება, თუ იგი შეგნებული ქართველია, დაკავშირებული უნდა იყოს იმ უმთავრეს იდეალთან, რომელსაც ჰქვიან ეროვნულ ინდივიდუალობის დაცვა. ყველაფერი, რაც ეწინააღმდეგება ამ იდეალს, დაგმობილ უნდა იქმნას. ვერავითარი ავტორიტეტი, ვერავითარი შარავანდედი ვერ დაგვიჭერს დაგმობისაგან, თუ ვხედავთ, რომ ქართულ ეროვნულ ინტერესებს ყველა სხვა ინტერესებზე დაბლა აყენებენ ქართველისთვის მხოლოდ ქართული ინტერესი უნდა არსებობდეს იმ დრომე, სანამ მას საფრთხე მოელის.

შინაური.

სასამართლო

ტფ. სასამართლო პალატაში გაირჩა საპელაციო საქმე **ზაქარია ხოჯალიასი**, რომელსაც ბრალდებოდა მამინიშვილის სამხედრო ბეგრისაგან განთავისუფლებისათვის ყალბი საბუთის შედგენა. ქუთაისის ოლქის სასამართლომ მას ღირსების აყრა და $2^{1}/_{2}$ წლით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა გადაუწყვიტა. პალატაში ბრალდებულს იცავდა ნაფ. ვექ. **გრუზენბერგი**. ტფ. სასამართლო პალატამ ქუთ. ოლქის სასამართლოს განაჩენი გააუქმა და ხოჯალია გაამართლა.

ტფ. სასულიერო სემინარიის ეკონომზე თავდასხმის საქმე.

ტფ. სასამართლო პალატა. 12 დეკემბერს საბრალმდებლო ოქმის წაკითხვის შემდეგ თავმჯდომარე შეეკითხა ბრალდებულთ: დამნაშავედ სცნობენ თავს იმაში, რომ განიზრახეს ეკონომის დროზდოვის გაძარცვა, იარაღით შეეჭრნენ მას და სიკვდილით დაემუქრნენ, თუ ფულს არ მისცემდა?

ბრალდებული **მენდელიანი**: დამნაშავედ ვცნობ თავს მხოლოდ იმაში, რომ განვიზრახე ეკონომის გაძარცვა; იმის მოკვლის განზრახვა კი ფიქრადაც არა გვქონია.

ბრალდებულმა **შამანაურმაც** ამგვარივე პასუხი მისცა.

ბრალდებული **ხაბელავა**. დამნაშავედ ვსცნობ თავს მხოლოდ იმაში, რომ მთავრობას ვაცნობე გაძარცვის განზრახვა.

იუნკ. **ბოდლევი**: ბენდელიანმა ყველაფერი მითხრა ექსპროპრიაციის შემდეგ.

დანარჩენი ბრალდებულნი დამნაშავედ არა სთვლიან თავს.

შემდეგ დააფიცეს მოწმეები, გარდა ბრალდებულის კაჭარავების ძმის ევგენისა. ჩვენების ჩამორთმევისაგან განთავისუფლებულ იქმნენ მოწმე ბოქაულები: ბაბიჩი, მიქაბერიძე და ხრუზჩოვი.

მოწმემ ეკონომმა **დროზდოვმა**—ისევ ის სთქვა, რაც წინასწარ გამოძიების დროს. დაუმატა მხოლოდ რომ ვინ გაისროლა რევოლვერი არ დაუნახავსო.

დანარჩენმა მოწმეებმაც ახალი არა სთქვეს რა სასამართლოს გამოძიების შემდეგ.

სიტყვა მიეცა ბრალმდებელის თანაშ. უთნელიშვილს, რომელმაც სთქვა: დანაშაული ბრალდებულთა ცხადია. ბენდელიანი და შამნაური გულახდით გამოტყდნენ. აგრეთვე გამოტყდნენ კუჩეროვსკი და ბოდლევი. თუმცა დანარჩენები უარს ამბობენ დანაშაულზე, მაგრამ გამოძიებამ დაამტკიცა რომ ისინიც დამნაშავენი არიან. ამიტომ ის თხოულობს ყველა ბრალდებულთა დასჯას.

12 დეკემბერს სხდომა ნაშუადღევის 5 საათზე შესწყდა და გადაიდო 13 დეკემბრის დილის 10 საათისთვის.

13 დეკემბერს სიტყვები წარმოსთქვეს დამცველებმა. პირველად ილაპარაკა **ნაფ. ვექ. ვაჭავარიანმა**. აღნიშნა რომ ბენდელიანს არ ჰქონია ეკონომის მოკვლის განზრახვა; რევოლვერიც არ უსვრია. მას რევოლვერი შემთხვევით გაუვარდა. ამიტომ კან. 1634 და 1450, თავის თავად უნდა ჩამოცილდეს. ბანდელიანი დამნაშავეა მხოლოდ გაძარცვის მონაწილეობის მიღებაში, მაგრამ რადგანაც გულწრფელად აღიარა დანაშაული სასჯელის შემცირების ღირსია.

ნაფ. ვექ. ყანჩელი. რადგანაც ბრალდებულმა ხაბელავამ გულწრფელად აღიარა დანაშაული, გარდა ამისა სრული წლოვანი არ არის დ მონაწილეობა არ მიიღო ექსპროპრიაციაში, სთხოვს სასამართლოს სასჯელის შემცირებას.

ნაფ. ვექ. თან. მესხიშვილმა ორჯერ ილაპარაკა. პირველად შეეხო ბრალდებულს შამანაურს: „შამანაურმა გულწრფელად აღიარა დანაშაული. მაგრამ შეხედეთ დამნაშავეთა ადგილს, ჩვენს წინ პროფესიონალური, ყაჩაღები კი არ არიან, არამედ 17—18 წლის ბავშვები, წარსული წლების თუ ცუდ ამხანაგების ზეგავლენით მათ ჩაიდინეს ცუდი საქმე. მათივე საქციელი უკედ ამტკიცებს ამას. რევოლვერით შეიარაღებულ, შამნაურს შეეშინდა უიარაღო ეკონომისა. ბენდელიანი და შამანაური იმდენად დაიბნენ, როდესაც ქალის ხველება მოესმათ, რომ ფანჯარიდან გადახტნენ და გაიქცნენ... განა ყაჩაღები ამნაირად იქცევიან? მოკვლის განზრახვა არ დამტკიცებულა". ამიტომ ბ. მესხიშვილი სთხოვს სასამართლოს ბენდელიანი მარტო „ექსპროპრიაციაში მონაწილეობისათვის იცნონ დამნაშავედ ქავთარაძე დ ჰკუასელი გაამართლონ.

ნაფ. ვექილი **ბარათაშვილი** სასამართლოს ძმ. კაჭარავების გამართლებას სთხოვს, რადგანაც გამოძიებამ დაამტკიცა, რომ აპოლონ კაჭარავა ავად იყო და მონაწილეობის მიღება არ შეეძლო, ვასილმა კი არც იცოდა რამე ექსპროპრიაციის შესახებ.

ნაფ. ვექ. **ტურკევიჩი** თხოულობს კუჩეროვსკის გამართლებას, რადგანაც მან ბენდელიანის სიტყვები „საძარცვავად მივდივარ—ხუმრობად მიიღო, და საცმელი ათხოვა ბენდელიანს როგორც ამხანაგსა.

ნაფ. ვექ. **კარუხოვი**, ნაჭყეპიას, გამზარდიას და თოფურიძის წინააღმდეგ საბუთები არ არის, ამიტომ თხოულობს მათ გამართლებას.

ნაფ. ვექ. თან. **გორდეზიანი** თხოულობს დვალაძის გამართლებას, რადგან იგი სამხედრო სასწავ. მოსამსახურე იყო და იუნკრები წინედაც აბარებდნენ შესანახ ნივთებს.

ნაფ. ვექ. თან. **სარქისოვი** სთხოვს ბოდლევის გამართლებას, რადგან მის წინააღმდეგ საბუთები არ არის. თუ სასამართლო დამნაშავედ იცნობს, მაშინ ისეთი სასჯელი გადაუწყვიტონ, რომ სწავლის გაგრძელება შეეძლოს.

შემდეგ ილაპარაკეს ბრალდებულებმა. ბენდელიანმა, შამანაურმა და ხაბელავამ სთხოვეს სასჯელის შემცირება, დანარჩენებმა გამართლება.

სასამართლომ სამი საათის თათბირის შემდეგ გამოიტანა რეზოლუცია, რომლითაც დამნაშავედ იქმნენ ცნობილი და მიესაჯათ: **ბენდელიანს** და **შამანაურს**—ღირსების ახდა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა: პირველს 6 და მეორეს ხუთის წლით; **ხაბელავას** 3 წლის ციხე, **აპალონ კაჭარავას**—3 წლის ციხე, მას ჩაეთვლება ერთი წელიწადი გამოძიების დროს ციხეში ჯდომა, **ქავთარაძეს** და ვასილ **კაჭარავას**—$2^{1}/_{2}$ წლის ციხე ჩაეთვლებათ ექვს-ექვსი თვე; **ნაჭყეპიას**—3 კვირით პოლიციასთან დატუსაღება; **თოფურიძეს** 7 დღის ციხე, **ბოდლევს**—7 დღის საპყრობილე, და სასჯელი შეეცვლება დისციპლინარული სასჯელით, თავის უფროსების მიხედულებისამებრ; კუჩეროვსკი, გამზარდია, ჰკუასელი და დვალაძე გაამართლეს.

ბალკანეთის ომი

დეპეშები.

12 დეკემბერი.

ბულგარეთი.

სოფია. ეროვნულ კრებას დეპუტატებმა შეკითხვით მიჰმართეს სამხედრო ცენზურის მოქმედებაზე. მთავრობა 13 დეკემბერს უპასუხებს.

სოფია. დეპუტატები ჰფიქრობენ, ოსმალთა დელეგატების კილოს მიუხედავად, ისინი იძულებულნი იქნებიან მოკავშირე სახელმწიფოთა პირობებს დასთანხმდნენო. მთავრობამ გადასწყვიტა არას გზით არა სთქვან უარი მარმარილოს ზღვაში გასავლის მიღებაზე. ამით ბულგარეთს ჰსწადიან შეასუსტოს ოსმალეთის გავლენა ევროპაში.

ახალი ხომალდი.

ათინა. გადაწყვეტილია შეუკვეთონ ახალი ტიპის დრედნოუტი. საამისოდ გადადებულია 45 მილიონი ფრანკი. იანინის მახლობლად ყუმბარების სროლა დრო გამოშვებით გრძელდება. მოწინავე რაზმების დივიზია პოზიციას არა სტოვებს. ბროლის ველზე 120 მოკლული ოსმალო იპოვნეს.

გაზეთებიდან.

სამშვიდობო მოლაპარაკება

ლონდონი. სამშვიდობო მოლაპარაკების მეორე სხდომას თავმჯდომარეობდა ჩერნოგორიის წარმომადგენელი მიუშკოვიჩი. ოსმალთა რწმუნებულებმა განაცხადეს, რომ სტამბოლიდან მოსულ ცნობების ძალით იგინი თანხმა არიან საბერძნეთთანაც გამართონ მოლაპარაკება, მხოლოდ იმ პირობით კი, თუ მოკავშირენი ადრიანოპოლში სურსათის შეტანის ნებას დართავენ. ოსმალები მოითხოვენ ამას კაცთმოყვარეობის ძალით. ამაზე მოკავშირეთა დავალებით დანევმა უპასუხა: თქვენ თვითონ მიიღეთ დროებითი ზავის ასეთი პირობები. ადრიანოპოლის მშვიდობიან მცხოვრებთა ბედი თქვენზეა დამოკიდებული: ჩამოაგდეთ მშვიდობიანობა რაც შეიძლება მალე. ოსმალები სათათბიროდ წავიდნენ, რის შემდეგაც ისევ განიმეორეს თავისი მოთხოვნილება. მოკავშირეებმა უარით უპასუხეს, რადგან სურსათის საკითხი დროებითი ზავის პირობების გადასინჯვას ნიშნავს, რის მონდობილებაც არა გვაქვს მთავრობისგანო. ოსმალები ისევ სათათბიროდ გავიდნენ და შემდეგ განაცხადეს: რადგან მოკავშირეთა წარმომადგენლებს არ ჰქონიათ დავალება ამ საკითხის განხილვისა, ჩვენ მთავრობას უნდა მივმართოთ შესაფერი ინსტრუქციისათვის, რომელსაც ორშაბათამდე მივიღებთო.

ბალკანეთი და ევროპა

დეპეშები.

12 დეკემბერი.

ბელგრადი. ვენის გაზეთებში მოყვანილია ცნობები, ვითომც სერბიასა და ჩერნოგორიის შორის ურთიერთობა შეიცვალა. „სამოუპრავა" ამის გამო სწერს; ეს ცნობები ტენდენციურია და მიზნად ისა აქვს, რომ მეგობარ სახელმწიფოთა შორის, შუღლი და განხეთქილება ჩამოაგდოსო. სერბია და ჩერნოგორია ჰვლავინდებურად მეგობრულ განწყობილებაში არიანო, დასძენს გაზეთი.

გაზეთებიდან.

ელჩების კონფერენცია.

პარიზი. სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან, რომ სერბია დასთანხმდა ელჩების აზრს ალბანეთის შესახებ. თუ ოსმალეთი მოითხოვს ალბანეთის პროტექტორატობას, მოკავშირენი უკამათოდ დასთანხმდებიან.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

საზღვარ-გარედ

12 დეკემბერი.

ინდოეთის ვიცე-კოროლის დაჭრის გამო.

დელი. ვიცე-კაროლი გარდინგი უკეთ არის. სიცხე ნორმალურია. ტკივილები დაუყუჩდა.

დელი. ჰფიქრობენ, გარდინგის მოკვლის განზრახვა შეთქმულების შედეგიაო. მოღალატეა მოძრაობა და ანარქიზმი კვლავ ფეხს იდგამს ინდოეთში. კონსტიტუციამ ამ საქმეში ქვეყანას ვერა უშველარა.

იაპონია.

ტოკიო პრემიერ მინისტრსა და საზღვაო მინისტრს შორის უთანხმოება მოისპო. ორივენი დათმობის გზას დაადგნენ. საზღვაო ძალის გასაძლიერებლად მიეცემა 6 მილიონი, ნაცვლად 9 მილიონისა.

მუშათა დაღუპვა.

ტოკიო. სოვაიტის ქვის ნახშირის მაღაროებში აფეთქება მოჰხდა. 218 მუშაში მხოლოდ 2 გადარჩა.

იაპონიის პალატის პარტიული დანაწილება.

ტოკიო. ქვედა პალატის პარტიული დანაწილება. ასეთია: კონსტიტუც-ნაციონალისტები—216, ოპოზიციის ნაციონალისტები—98, მთავრობის ცენტრი—34, დამოუკიდებელი—35, უპარტიო—5.

ტოკიო. გაზეთების სიტყვით, თავი მოიწამლა იამაგატას სახლის წინ ახალგაზრდა იაპონელმა, რომელმაც ვერ მოახერხა ფელდმარშალ იამაგატას მოკვლის განზრახვა სისრულეში მოეყვანა.

სპარსეთი.

თეირანი. გუშინ სამსაუმუს-სალთანეს სახლში კაბინეთის სხდომა იყო. სხდომის დროს სამსაუმუს სახლში შეიჭრა [illegible] ბრბო და სახელმწიფო ხაზინადარს ფულის თხოვნა დაუწყო. სამხედრო მინისტრის რჩევით ბრბო დაიშალა. ბრბომ სცემა ჟანდარმს და ხაზინადარის მეეტლეს.

რუსეთი

ნოვოჩერკასკი. მაძებარ ძაღლის ტრეფის დახმარებით მიაგნეს დამნაშავეების კვალს, რომელთაც კავკავის გზაზე მეარტელეს წაართვეს 70,000 მან.

ტომსკი. პეტერბურგში გაემგზავრა მოსკოვის მიტროპოლიტი მაკარი.

პეტერბურგი. სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატთა ერთმა ჯგუფმა ხელმწიფე იმპერატორს უქვეშევრდომილესი საპასუხო დეპეშა გაუგზავნა. ხელმწიფე იმპერატორმა პასუხად გამოუგზავნა: „სიამოვნებით წავიკითხეო".

პეტერბურგი. საზამთრო სასახლეში ნიკოლაევის დარბაზში ხელმწიფე იმპერატორს წარუდგა სახელმწიფო სათათბიროს 351 დეპუტატი. წარდგენას დაესწრო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე. ხელმწიფე სამ საათზე გამოვიდა დეპუტატებთან. ამ დროს გაისმა დამაყრუებელი „ვაშას" ძახილი. ხელმწიფე მიესალმა დეპუტატებს. ხელმწიფე სათითაოდ ებაასა დეპუტატებს.

უცხოეთი

პრინცი კაცურა.

იაპონიის მინისტრთა კაბინეთი განსაცდელს განიცდიდა. ახალი კაბინეთის შედგენა მიანდეს ტერაუჩის, მარკიზ მაცუკატოს, ადმირალ იამამოტოს და ხირატს; მაგრამ ყველამ უარი სთქვა. ბოლოს კაბინეთის შედგენა დააკისრეს პრინც **კაცურა ტაროს.**

კაცურა დაიბადა 1848 წელს, მონაწილეობას იღებდა სამ სამოქალაქო ომში. 1877 და 1884 წლ. კაცურა გერმანიაში გაემგზავრა სამხედრო მეცნიერების შესასწავლად. დაბრუნებისას იგი დანიშნეს ჯერ სამხედრო მინისტრის ამხანაგად და შემდეგ დივიზიის უფროსად. 1895 წ. კაცურა ჩინეთ-იაპონიის ომში იღებდა მონაწილეობას. 1897 წ. ფორმოზის გუბერნატორად იყო. 1898 წ. სამხედრო მინისტრად დაინიშნა. ამ თანამდებობაზე დაჰყო კაცურამ 1900 წლამდე. 1901 წელს დაეცა იტოს ლიბერალური კაბინეთი. ბევრმა თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწემ ახალ კაბინეთის შედგენაზე უარი განაცხადა. აქ პასუხსაგებ საქმის შესრულება თავს იდვა კაცურამ.

ეს დრო იაპონიისთვის ფრიად საძნელო ხანა იყო. იბრძოდა ორი მიმართულება, ორი პარტია: ერთი მოითხოვდა რუსეთთან ომის ატეხას მეორე კი მათს მებრძოლ მიდრეკილებებს იკავებდა. პირველი პარტიის

ღვაწეობის პირველ ხანას აღგვიწერენ. კალერისაგან სწორ გზას დაშორებული გენადი სულით და გულით ეძლევა ახალ საქმეს; იგი სათვისტომოს საქმეებშიაც ერევა, ესწრება პარტიულ კრებებს, საღამოებს. სხვათა შორის ერთ საღამოს, როდესაც მან კვლავ დაინახა თვისი დაკარგული „ოქროსფრთიანი" მტრედი, არა ჩვეულებრივი აღელვება განიცადა, თავი ვეღარ შეიკავა და ყველასათვის მოულოდნელად დიდებული სიტყვა წარმოსთქვა. ყველას ცრემლები მოადგა თვალებზე, თვით მოლაპარაკესაც კი აუჩუყდა გული და ცრემლით დაუნამა პირის სახე. ტაშის ცემას საზღვარი არ ჰქონდა. რა ბუნებრივია მერე ეს მოქმედება გენადისა! მას ზოიას ხილვით კვლავ აეშალა დარდები დაკარგულ ბედნიერების შესახებ; მან კვლავ იგრძნო მასთან სიახლოვე და ამასთანავე ერთგვარი დაშორებული მანძილიც; გულს მოწოლილი მწარე გრძნობები გადმოხეთქას ეპირებოდნენ და გენადიმაც იგი თვის სიტყვებში გადმოაღვარა და მით მეტი ძალა, მეტი გულწრფელობა მიეცა მათ.

აღსანიშნავია აგრეთვე ის საღამოც, როდესაც გენადი ზოიასთან ერთად თეატრში „ევგენი ონეგინს" ისმენს. ამ საღამოს ხომ ორის ადამიანის კვლავ შეერთება მოხდა, მაგრამ ყველას აღნიშვნა ძლიერ შორს წაგვიყვანდა და ისევ გენადის სატუსაღოში ცხოვრებაზე შევჩერდეთ.

გენადის სატუსაღოში ცხოვრებას მე შინაარსის მოტანის დროს ორიოდე სიტყვით უკვე შევეხე, ამ ჟამად კი მკითხველის ყურადღებას მივაპყრობ ვნების კვირის აღწერას საერთოდ სატუსაღოს და კერძოდ გენადის ცხოვრებაში,

ვნების კვირას თითქოს სულ რაღაც ახალი შეჰქონდეს ტუსაღთა ცხოვრებაში. განუწყვეტელი ზარის რეკა, მღვდლის სიტყვები: ჰე უფალო და მეუფეო ცხოვრებისა ჩემისა.. ტუსაღთა გალობა, ყოველივე ამას რაღაც თავისებური გავლენა აქვს ადამიანის სულზე. ერთ საღამოს გენადის ზარების რეკით დ ანთებულმა სანთლებმა ვოვოჩკას ცხედარი მოაგონეს; მოაგონეს აგრეთვე კალერია და იგი მწარედ წარმოსთქვამს: მომშორდი კალერია, მე შენ არ მიყვარხარ და არც აროდეს მყვარებიხარ... მე მიყვარს ზოია, ჩემი თეთრი, წმინდა საცოლე". იგი მშვენიერ ღამეს მიაპყრობს ყურადღებას და ამბობს: რაღაც საიდუმლოებაა ცასა და მიწის შორის; რაღაც იცის ცამ და მიწამ, რასაც ჩვენ, ადამიანები ვერასოდეს ვერ შევიტყობთ. **საკვირველია, თავისუფლების დროზე როდესაც ბიუხნერს ვკითხულობდი, ღმერთი არ მრწამდა და მხოლოდ დარვინი მრწამდა.*) ეხლა კი ჩემთვის ყოველივე გამოურკვეველია** უმზერ ლურჯ ცას და ჩემი სული ივსება რაღაც **კრძალვითი ძრწოლით და ნათლად ვგრძნობ რაღაც უდიდეს საიდუმლოს ცისა და მიწის შორის**". აღდგომა დღეა; ყველა მხიარულობს; ყველგან „ქრისტე აღსდგა" გაისმის და მხიარულება ტუსაღთა ტანჯულ სულსაც ეფინება: „სული ჩემი კრთოდა, ამბობს გენადი, რაღაც გამოურკვეველი აღტყინებით და ამასთანავე უდიდესი სევდით, ადამიანთადმი სიყვარულით და მათდამივე სიძულვილით, რადგან ისინი თვით აცვავენ ერთმანეთს ჯვარს... იგალობეს „ქრისტე აღსდგა", მე კედელს მივეყრდენი და თვალთაგან ცრემლები გადმომსკდა".

ისეთი სულიერი განწყობილება ჰქონდა ამ დროს გენადის, რომ დარაჯიც კი ჩაჰკოცნა. საერთოდ კედლებს შუა გამომწყვდეულნი პატიმარნი ამ დღეს ერთგვარ მხიარულებას, ეძლევიან, თითქოს მათ ტანჯულ ცხოვრებაში ნათელი სვეტი ჩაშვებულიყოს.

გენადის საავადმყოფოში მოთავსებას და მის ავადმყოფობასაც მე უკვე შევეხე გაკვრით. შევეხე აგრეთვე იმასაც, თუ რა აუწერელის სიხარულით ელოდებოდა გენადი ზოიას ნახვას: „იშვებდით ცაო და დედამიწავ! დღეს ჩემთან ზოია მოვაო". აი რა სიტყვები აღმოხდებოდა ხოლმე მას ზოიას მოლოდინში. უკანასკნელად შევჩერდეთ გენადის კვლავ კალერიასთან შეხვედრაზე, რომ ნათელი წარმოდგენა გვექნეს გენადის პიროვნებაზე.

იალტაში ყოფნის უკანასკნელ დღეებში გენადის ხშირად ევლინებოდა კალერიის სახე და მოსვენებას არ აძლევდა: „დღით მხოლოდ შენზე ვფიქრობ, ჩემო ნათელო ქალწულო, ხოლო ღამით, როდესაც მარტო ვრჩები და გახილული თვალებით ვწევარ სარეცელში, ბნელ ღამეს თვისი ფრთებით კვლავ მოაქვს მოგონებანი კალერიაზე და ჩრდილავს ნათელს სახესო". გენადი ჰგრძნობს განსაცდელს და ემუდარება ზოიას, წავიდნენ შორს იალტიდან, მაგრამ უკვე გვიანღა არის. ღამით, როდესაც შემოესმებოდა ბავშვის ტირილი, გენადი შემდეგს ფიქრს ეძლეოდა: „ნუ თუ იგი ჩემი შვილია!? რად სტირის? სად არის **დედა?** ან იქნებ არ გესმის, როგორ სტირის შენ მიერ შობილი პატარა კაცი? ან შეიძლება, შენ ჯერ კიდევ არ დაბრუნებულხარ სეირნობიდან რომელიმე სულელთან ერთად, რომელიც ჩემსავით ალბად მალე „მამა" შეიქნება? უჰ, **ლამაზო ცხოველო**, როგორ მეზიზღები! დიაღ, მეტად მწვავეა გენადის მდგომარეობა; იგი გრძნობს, რომ ფეხებიდან ნიადაგი ეცლება; კალერია მისი შვილის დედაა, ეს მის სულს საცოდავად ჰსერავს; მას შვილი ჰყავს და ეს გრძნობა სულ სხვა მოვალეობის აზრს იწვევს მასში. იგი მამაა დ მაშასადამე ვალდებულიცაა იზრუნოს თვის შვილზე, იზრუნოს მის აღზრდა-განვითარებაზე. სწორედ ეს გარემოებაა, რომ გენადის კვლავ აშორებს ზოიას. აქ გენადი ძალზე იწვევს ჩვენს თანაგრძნობას; ყველა მკითხველის გული უეჭველია სიბრალულით ივსება და წრფელი სურვილი გენადის დახმარებისა ერთბაშად იღვიძებს მასში.

კალერიას ჩვენ რამდენადმე უკვე გავეცანით. მოვისმინოთ ეხლა შემდეგი საუბარი.

გენადი: აჰ, კალერია შენ **არავითარი წმინდა** არა გაქვს!

— მართალია, **მე ყოველივე ცოდვილი მაქვს.** გაფრთხილებ **მე ვერავითარ წმინდას ვერ მოგცემ.** შეიძლება შენს საცოლეს არ მოსწონდეს ჩვენი ნაცნობობა.

— ნურას მეუბნევი საცოლეზე. მე იგი არა მყავს.

— რას ამბობ? მე არა მესმის რა.

— შენ **მოხვედი** და იგი აღარა მყავს.

— მე?!.

— დიაღ შენ და კიდევ ის კედელს იქით ჩვენი შვილი.

— როგორ, შენ უკვე დაივიწყე შენი საცოლე?

— არ ვიცი, ძველი დაიკარგა; მან თვითონ, მან თვითონო. კალერია გადის. გენადი კვლავ მწარედ წარმოსთქვამს: არ ვიცი, რომელი თქვენთაგანი უფრო მიყვარს. რად სტირი ჩემო ძვირფასო ბავშო? მე შენ ძლიერ მიყვარხარ, **ძლიერ ყველაზე მეტად;** აი რა უნდა მიიღონ მხედველობაში იმ მკითხველებმა, ვინც მზადაა გენადის მიმართ საყვედური წარმოსთქვას: მას ზოია არ ჰყვარებია, იგი მხოლოდ ხანმოკლე გატაცებით სცხოვრობსო. მოყვანილ საუბრიდან კალერიას სახე უფრო გამოირკვა. მაგრამ მის დასახასიათებლად მოვიყვანოთ მისივე სიტყვები, იგი გენადის ეუბნება: „თუ შენ ეგრე გსურს, რომ მე სუმბულად ვიწოდებოდე, დეე ვიქნები მხოლოდ ქოთნის სუმბულად, რომელის მზგავსი მე შენ ტბიდან მოგიტანე. წყალში იგინი მშვენიერნი არიან; შორიდან გიზიდავენ, მაგრამ როდესაც მოსწყვეტ, მსწრაფლ დაჰკარგვენ თავის სილამაზეს და თვალის მომჭრელ სითეთრეს და ჰკვირობ შემდეგ: **სადღა არის სილამაზე და რად ვისვრებოდი ჭაობში?** განა ღრმად დამახასიათებელი არ არის კალერის უკანასკნელი სიტყვები! საქებურია, რომ იგი თვით ჰგრძნობს, თუ რამდენად ხანმოკლეა მისი სილამაზე და ისიც შორიდან და რამდენად უფერულია იგი ახლოს. სიმართლე უნდა ვსთქვათ, რომ კალერიას მიერ წარმოთქმული სიტყვები, იმდენად ახასიათებენ მას, რომ ჩვენთვის ნათელია მისი სახე. ხოლო შეგნება, რომ მას არავითარი სიწმინდე არ გააჩნია, რომ იგი შექმნილია მხოლოდ წუთიერი სიამოვნების მისანიჭებლად და დასჭკნება მალე, ვით ქოთნის სუმბული, ვიმეორებ, ეს შეგნება კალერიას რამდენადმე ამაღლებს ჩვენს თვალში და მისდამი ჩვენ მსჯავრს არბილებს. რაც შეეხება კალერიას სულიერი სახის განვითარებას, მწერალი ამ მხრივ არას გვეუბნება; კალერიას ვეცნობით მხოლოდ იმ ხანაში, როდესაც იგი ქმარს გაჰყვა და მალე კიდეც მიატოვა. მართალია ორიოდე სიტყვით, კალერია ეხება თვის სიბავშვეს, მაგრამ არსებითად აქ იგი არას გადმოგვცემს. ჩვენის აზრით, ეს კი საჭირო იყო, რადგან ჩირიკოვის ხსენებულ ნაწარმოებში კალერიას ტიპი ერთი საყურადღებო და დაახლოვებით შესწავლის ღირსი ტიპთაგანია. ჩვენ უნდა ვიცოდეთ რა გავლენა ჰქონდა აღზრდას კალერიასთანა ტიპზე და რამდენად ძლიერია მათში პირადი სულიერი თვისებები.

რაც შეეხება ზოიას, მისი სახე ჩვენთვის რაღაც გამოურკვეველი რჩება. კი, ჩვენ ვიცით, რომ მას უყვარს მთელის არსებით გენადი და მას არაოდეს უღალატებს, მაგრამ ჩვენ არ ვიცით მის ინტელექტუალური მისწრაფება და ინტერესი. არ ვიცით, საერთოდ მისი სულიერი სახე, თუმცა მწერლის დახასიათებით იგი ყოვლად ძვირფასი ადამიანია. ვიმეორებ ზოიას სახე გარკვეულ შთაბეჭდილებას ვერ სტოვებს. შეიძლება, „განძევებაში" გაგვაცნოს მწერალმა ზოია; მაგრამ ჯერ კიდევ ვერ ვიტყვით, რომ გენადი კვლავ შეხვდება ზოიას, სანამ ხსენებული გაგრძელება არ დასრულდება. გენადი ციმბირში უკვე სულ ახალ სფეროში ტრიალებს, მას გარს ახვევია სხვა და სხვა მიმართულების ქალი და კაცი და ადვილად შესაძლებელია ზოია სულ სამუდამოდ დაივიწყებას მისცემს, თუმცა ბევრი რამ, რომლის ჩამოთვლას აქ არ შეუდგები, გვაძლევს იმედს, რომ გენადი კვლავ შეხვდება ზოიას*). ვნახოთ...

ალ. წერეთელი.

---

*) ხაზი ჩემია. ავტ.

*) როგორც დანამდვილებით შევიტყვე, სტუდ. დავ. მელ. ჩხეიძე უკვე შესდგომია „სიყმაწვილის" თარგმნას. ავტ.

სულის ჩამდგმელი იყო კაცურა, მეორესი—იტო. კაცურას არჩევით მინისტრ-პრეზიდენტად სამხედრო პარტიამ გაიმარჯვა. კაცურა გაფაციცებით შეუდგა საომარ სამზადისს. აქა-იქ ისმოდა უკმაყოფილების ხმა, მაგრამ კაცურა ამას ყურადღებას არ აქცევდა და განაგრძობდა ერთხელ არჩეულ გზით სიარულს. კაცურამ მიაღწია კიდეც მიზანს. იგი კაბინეთს ჰმეთაურობდა რუსეთ-იაპონის ომის განმავლობაში.

ამ დროს ინგლისმა და იაპონიამ შეჰკრეს კავშირი. ომის შემდეგ საზოგადოებრივმა აზრმა სხვა მიმართულება მიიღო. კაცურას კაბინეთს ნდობით აღარ ეკიდებოდა. კაცურამ რეფორმები აღუთქვა ხალხს, რამდენიმე წევრი კაბინეთისა გადააყენა. მაგრამ საზოგადოების მსჯავრი ულმობელი იყო. ქვეყანას ლიბერალურმა სიომ დაჰბერა. კაცურა იძულებული იყო ანგარიში გაეწია სინამდვილისთვის. იგი ჩამოჰშორდა მთავრობის მეთაურობას. ლიბერალებმა ხელ-ახლად გაიმარჯვეს. შესდგა სხვა კაბინეთი. მაგრამ დრომ ფერი იცვალა, და აი 1908 წელს, კაცურა კვლავ კაბინეთის სათავეში სდგას. საზოგადოებრივი აზრი ამ გარემოებამ ფრიად ააშფოთა, და სანამ 1911 წელს კაცურას კაბინეთი არ დაეცა, იგი არ დამშვიდებულა. სახელმწიფოს მექანიზმს ისევ ლიბერალები ამოძრავებდნენ. მიმდინარე წლის ზაფხულში კაცურა საგანგებო მისიით პეტერბურგში იყო. აპირებდა წასვლას გერმანიაში, საფრანგეთში და ინგლისში, მაგრამ იმპერატორის სიკვდილმა ხელი შეუშალა. იგი სამშობლოში გაეშურა. ახალ იმპერატორის მეფობის დროს კაცურა იყო „კერძო და სახელმწიფო ბეჭვდითი სიტყვის მცველად“ ამ გზით კაცურას ევალებოდა ეზრუნა და რჩევა ეძლია ახალგაზდა იმპერატორისთვის, რომლის დამოუკიდებელი ხასიათი და ლიბერალური მიმართულება მმართველ წრეში დიდ შიშს და ეჭვს ჰბადებდა.

კაცურა სამხედრო პარტიის წევრი და იამაგატას მარჯვენა ხელი იყო. კაცურას ამ ბოლო დროს განზრახვა ჰქონდა პარტიიდან გამოსულიყო და ახალი პარტია დაეარსებინა. კაცურას დანიშვნამ მინისტრ-პრეზიდენტის თანამდებობაზე ამ ხიფათიან დროს საფუძვლიანი შიში გამოიწვია ლიბერალთა წრეში. „კონსტიტუციის მფარველი“ საზოგადოება ფრიად უკმაყოფილო არის: ისინი ამ დანიშვნაში ჰხედავენ მიკადოს საკონსტიტუციო [illegible].

თეატრი და ხელოვნება

[illegible] კავკასიის კონცერტი. ეს მეორედ გაიმართა კონცერტი მომღერალთა გუნდისა, რომელსაც ბ-ნი მიხეილ კავსაძე ხელმძღვანელობს. გუნდი მიზნად ისახავს ხალხურ სიმღერების თავის პირველყოფილ [illegible] სახით, დაცვას. ვინც ამ კონცერტებში საკომპოზიციო შემოქმედებას დაუწყებს ძებნას, ის უეჭველად მოსტყუვდება. როგორც სჩანს, ამისთანა მიზანს არც ისახავს გუნდი. მიუხედავად ამისა, გუნდს მაინც შეუძლიან დიდი სარგებლობა მოუტანოს ჩვენი მუსიკის განვითარებას. ხალხური სიმღერები თან და თან იკარგება, ირყვნება. ინტელიგენციას თან და თან ავიწყდება ხალხური მოტივები. ამისთანა პირობებში, არსებობა გუნდისა, რომელიც შეინახავს ქართულ მოტივებს, ფრიად საჭიროა. საზოგადოებაც, როგორც ეტყობა, ჰგრძნობს ამას, რადგანაც სიამოვნებით ესწრება ამისთანა კონცერტებს. 10 დეკემბერს გამართულ კონცერტსაც ბევრი ხალხი დაესწრო და კმაყოფილიც დარჩა.

საყმაწვილო ოპერა ქართულ ენაზე. ცნობილ მემუსიკე ნ. პ. სულხანიშვილმა, ოპერა „პატარა კახის“ ავტორმა შეადგინა ახალი ოპერა ქართულ ენაზე „ორი ძალი“ ბ. სულხანიშვილი როგორც მასწავლებელი „განათლების“ ქალთა სკოლისა ამ ჟამად ამ სკოლაში ამზადებს მოწაფეებს ამ ოპერის დასადგმელად. პირველი აქტი დაიდგმება „ისტორიულ საღამოზე“, რომელსაც „განათლების“ გამგეობა მართავს 30-ამ თვეს „კრუჟოკის“ დარბაზში, ხოლო მთელი ოპერა აღდგომას,—ამ სკოლის სალიტერატურო დილაზე.

ქ. ბათუმი. შაბათს 8 დეკემბერს, შმაევსკის თეატრში, „მოგზაური“-ს დასმა წარმოადგინა „ქრისტინე“. კარგად შეასრულეს თავისი როლები მარიკამ (შარაშენიძისამ) და წუწუნავამ — (ქრისტინე) ამათ როგორც ბუნებით გურულებს, მშვენივრად ეხერხებოდათ თავიანთი როლები. არა უშავდათ-რა კორიშელს (დათია) და ჩაგუნავას (მიკიტანი). საზოგადოდ პიესამ და მოთამაშეთ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინეს... ეს პიესა ჩვენ ერთხელ კიდევ გვინახავს სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი, მაგრამ მაშინდელს და ახლანდელ წარმოდგენის შუა დიდი განსხვავება იყო, როგორც ტეხნიკურის ისე ხელოვნურის მხრივ... სამწუხაროდ წარმოდგენას ხალხი ნაკლებ დაესწრო.

ტრ. ი—ძე

წერილი რედ. მიმართ

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ მოათავსოთ თქვენ პატივცემულ „სახალხო გაზეთში“ თელავის ქალთა წმ. ნინოს სასწავლებლის ულარიბეს მოსწავლეთა სასარგებლოდ 24 ნოემბერს გამართულ საღამოს ანგარიში.

შემოსავალი: ბილეთები—191 მან., ბუფეტი—69 მ. 18 კაპ., ფოშტა—16 მ. 74 კ., ვახშამი—89 მ. ფულად შემოწირულება 87 მ. 65 კაპ. სულ 453 მან. 57 კაპ.

ხარჯი: მარკები 13 მ., აფიშები 6 მ. 50 კ., დეპეშა 2 მ. 80 კ., ტკბილეულობა 14 მ., მებუფეტეს ქურქლის ქირა 32 მ. 30 კ., კლუბის ქირა 20 მ., მუსიკა 15 მან. სცენის მოწყობა 4 მ. 43 კ., პარიკმახერს 4 მ. მოსამსახურეებს 12 მ. 50 კ., ვახშმისთვის სანოვაგე 30 მან. 19 კ., წვრილი ხარჯი: ორდენები, კონფეტები და სხვ. 7 მ. 35 კ. სულ 162 მ. 7 კაპ.

წმინდათ დარჩა 291 მან. 50 კაპ.

შემოსწირეს: ფულად: მაზრის უფროსმა ბ. განბერგმა—10 მან., ტყის მცველმა გრომოვმა 10 მან., თავ. ი. ალ. ქობულიშვილმა 3 მან., თავ. ჯანდიერიშვილმა 2 მ., ბ-ნ პეტროვმა 3 მან., კ. გაბელოვმა 2 მ., მღ. ელიზბარაშვილმა 1 მ. დ. როსტომაშვილმა 1 მ. 10 კ. და სხვ.

სანოვაგე: თავ. მ. ზ. და ნ. გ. ჭავჭავაძეებმა, კნ. ეკ. ჯანდიერისამ, კნ. ქ. ი. რუსიევისამ, თ. ი. ქობულიშვილმა, თ. ხ. ერისთავმა, ბ. პოზოევმა, აბელოვმა, და აჯიანცმა.

თელ. ქალთა წმ. ნინოს სასწავლებლის გამგეობის სახელით და ჩემის მხრივ ულრმეს მადლობას ვწირავ, როგორც ზემოაღნიშნულ პირთ, აგრეთვე ქ-ნთ ბოჩევს, ნიკიტსკის, ბ-ნ ქიკაძეს და მომღერალთა გუნდს საკონცერტო განყოფილებაში მონაწილეობის მიღებისათვის, მასწავლებელთ ვოდევილის დადგმისათვის და ყველა იმ პირთ, ვინც ამ საღამოთი პირადად დასწრობით, დახმარება აღმოუჩინა ულარიბეს მოსწავლეთ და მით სწავლის გაგრძელების შეძლება მისცა.

თელავის ქალთა წმ. ნინოს სასწავლებლის გამგეობის თავმჯდომარე
კნ. ევ. პ. ჭავჭავაძისა.

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. კურდღელაშვილი.

გამოსადეგი ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა

(ზამთრობით).

15 ოქტომბრიდან.

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: სამგზ.-საბარგო № 8, საღ. 1 ს. 26 წ. ჩქარი № 2, დილ. 10 ს. 14 წ. საფოსტო № 4, ღამის 12 ს. 36 წ. სამგზავ. № 6, ნაშუადღ. 6 ს. 31 წ. ნარევი № 100, საღ. 7 ს. 20 წ.

ბათომისაკენ: სახ. №№ 107, დილ. 4 ს 38 წ. სახ. № 5, ნაშ. 4 ს. 38 წ. საფ. № 3, დილ. 9 ს. 50 წ. სახ. № 4, საღ. 9 ს 4 წ. სახ. № 11, ღამ. 10 ს. 2 წ.

ბაქოსკენ: ნარევ. № 106, საღ. 7 ს. 26 წ.

ერევანისკენ: სახ.-საბ. № 8/7, შუადღ. 1 ს. 6 წ.

ჯულფისკენ: საფ. № 4/3, ღამ. 1 ს. 11 წ.

ყარსისკენ: სახ.-საბ. № 6/5, საღ. 8 ს. 10 წ.

ბორჯომისაკენ: სახ. № 9/10 ნ, ნაშ. 3 ს. [illegible]7 წ.

ტფილისში მოდის.

ბაქოდან. ნარევ. № 107, ღამ. 3 ს. 8 წ. სახ. № 5, ნაშ. 3 ს. 46 წ. საფ. № 3, დილ. 9 ს. ჩქარ. № 1, საღ. 9 ს. 10 წ. სახ.-საბ. № 7, დილ 11 ს. 55 წ.

ბათომიდან: სახ. № 12, დილ. 8 ს. 50 წ. საფ. № 4, ღამ. 11 ს. 32 წ. სახ. № 6, საღ. 5 ს. 56 წ. ნარევ. № 105, დილ. 5 ს. 15 წ.

ერევნიდან: სახ.-საბ. № 8/7, დილ. 5 ს. 28 წ.

ყარსიდან: სახ.-საბ. № 65, ნაშ. 1 ს. 28 წ.

ჯულფიდან: სახ. № 43, დილ. 8 ს.

ბორჯომიდან: სახალ. № 9/10 ნ, დილ. 11 ს. 21 წ.

მიხაილოვ.-დან სურამში სახ.-საბარგ. № 61, ღამ. 2 ს. 18 წ. სახ.-საბ № 63, დილ. 5 ს. 30 წ. სახ.-საბ. № 65, ნაშ. 12 ს. 48 წ. სახ.-საბ. № 67, ნაშ. 3 ს. 13 წ. სახ.-საბ. № 69, საღ. 7 ს. 53 წ. სახ.-საბ № 71, საღ. 9 ს. 20 წ.

სურამ.-დან მიხაილოვში: სახ.-საბარ. № 60, ღამ. 1 ს. 22 წ. სახ.-საბ. № 62, დილ. 4 ს. 38 წ. სახ.-საბ. № 64, დილ. 7 ს. 8 წ. სახ.-საბ. № 66, ნაშ. 1 ს. 15 წ. სახ.-საბ. № 68, საღ. 6 ს. 38 წ. სახ.-საბ. № 70, საღ. 8 ს. 26 წ.

ქუთაისიდან რიონში: სახ. № 77, დილ. 5 ს. 28 წ. სახ. № 79, დილ. 10 ს. 14 წ. სახ. [illegible]1, ნაშ. 2 ს. 3 წ. სახ. № 83, ნაშ. 5 ს. 48 წ. სახ. № 85, ღამ. 11 ს. 58 წ.

რიონიდან ქუთაისს: სახ. № 76, დილ. 6 ს. 25 წ. სახ. № 78, დილ. 11 ს. 2 წ. სახალ. № 80, ნაშ. 3 ს. 8 წ. სახ. 82, საღ. 6 ს. 55 წ. სახ № 84, ღამ. 1 ს. 58 წ.

ქუთაისიდან შორაპანს: სახალხო № 29/30, ნაშ. 5 ს. 23 წ.

შორაპნიდან ქუთაისს: სახ. № 27/28, დილ. 8 ს. 30 წ.

ფოთიდან სამტრედ. და ქუთაისს: სახ. № 26, დილ. 6 ს. 6 წ. სახ. № 4 п, დილ. 11 ს. 9 წ. სახ. № 6, საღ. 5 ს. 1 წ. სახ. № 8 п, საღამ. 9 ს. 10 წ.

სამტრედიიდან ფოთში; სახ. № 3 п, შუადღ. 1 ს. 5[illegible] წ. სახ. № 7 п. საღ 7 ს. 24 წ. სახ. № 5 п, საღ. 7 ს. 59 წ. სახ. № 25 [illegible] ნაშ. [illegible] ს. 18 წ.

ბათომ.-დან ქობულეთსა და ნატანებში: სახ. № 18, ღამ. 11 ს. 13 წ. სახ. № 14, დილ. 5 ს. 43 წ. საფ. № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

ქობულეთ.-დან ბათომს: სახ. № 13, დილ. 7 ს. 4 წ. სახ. № 15, ღამ. 12 ს. 23 წ. სახალხ. № 17, ნაშ. 5 ს. 47 წ.

ნატანებიდან ბათომს: სახ № 17, ნაშუადღ. 5 ს. 20 წ.

ბათუმიდან ქობულეთში. სახ. № 18, ღამ. 11 ს. 13 წ. სახ. № 14, დილ. 5 ს. 43 წ. სახ. № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

ბათომიდან ნატანებს: სახ. № 16, ნაშუადღ. 4 ს. 24 წ.

მიხაილოვ.-დან ბორჯომს. სახ. № 46, ნაშ. 3 ს. 8 წ. სახ. № 65, საღ. 9 ს. 14 წ. სახ. № 86, დილ. 5 ს. 25 წ.

ბორჯომ.-დან მიხაილოვში: სახ. № 36, ნაშ. 12 ს. 35 წ. სახ. № 55, დილ. 5 ს. 58 წ. სახ. № 76, ღამ. 12 ს. 41 წ.

პირდაპირი მიმოსვლა გადაუჯდომლად.

1) **ბათომიდან პეტერბურგამდე** გაივლის ნიკიტოვკას, კურსკს, მოსკოვს, არის ერთი მიქსტო-ვაგონი I—II კლასისა და 1—მესამე კლასის, მატარებლების №№ 1/11 და 2/12. ყველა ბილეთები პლაცკარტებით.

2) **ბათომიდან მოსკოვამდე.** გაივლის კოზლოვს და რიაზანს; 1 ვაგონი პირვ. კლასისა, 1 მეორისა და 3—მესამისა, მატარებლები №№ 5 და 6. I და II კლასი და მესამე კლასის ერთ ვაგონში ბილეთები პლაცკარტითაა, ხოლო მესამე კლასის ორ ვაგონში უპლაცკარტოდ.

3) **ტფილისიდან როსტოვამდე** ერთი ვაგონი I/II კლასისა, ერთიც მესამე კლასისა, მატარებელთა ნომრები 1 და 2.

4) **ტფილისიდან ჯულფა-ერევნისკენ** ერთი ვაგონი I/II კლ. და ერთიც მე-III კლას. მატარებლის ნომრები 3 და 4.

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები
1—2 **ბ. ა. გედბლინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4 **მ. ი. მაჟერლოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).
5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
6—7 **ზ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 715).
8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).
10. 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71.

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).
მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 517).
5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).
0, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).
7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან, და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

გემების მიმოსვლა

(ზამთრობით)

15 ოქტომბრიდან,

შავ-ზღვაზე.

(დრო ტფილისის საათითაა აღნიშნული).

„ვაჭრობა-ნავოსნობის“ საზოგადოების გემები.

ბათომიდან გადის:

1) პირდაპირი, **საფოსტო გემი შაბ., და კვირ.,** ღამ. 12 ს. 58 წ.

ირგვლივ მოსიარულე:
№ 1. **ოთხშ.**—შუა ღამის 1 ს. 58 წ.
№ 2. **პარასკევ.** შუაღამის 1 ს. 58 წ.
№ 1. **სახ., შაბათ.**, ნაშუადღ. 2 ს. 58 წ.
№ 2. **ორშაბ.**, ნაშ. 2 ს. 58 წ.

ბათომში მოდის:
[illegible]დან პირდაპირი. **საფ., პარ.** დილ. 6 ს. 58 წ.

ირგვლივ მოსიარულე:
№ 1. **ორშ.**, საღ. 9 ს. 58 წ.
№ 2. **ოთხშ.**, საღ. 8 ს. 58 წ.
№ 1. **სამშ., პარ.** საღ. 8 ს. 58 წ.
№ 2. **კვირ.**, საღ. 6 ს. 40 წ.

კასპიის ზღვაზე.

„**კავკაზი და მერკური**“ საზოგადოების გემებისა

ბაქოდან გადის:
კრასნოვოდსკს, ყოვ.-დღე საღ. 4 ს. 40 წ.
ენზელს პირდაპირი, **პარ.**, და **სამშაბ.**, ნაშუადღ. 4 ს 40 წ.

ირგვლივ მოსიარულე:
ასტარას, ხუთშ. ნაშუადღ. 5 ს. 25 წ.

ბაქოში მოდის:
კრასნოვოდსკიდან ყოველ-დღ. დილ. 9 ს. 40 წ.
ენზელიდან ორშ. და პარ., დილ. 6 ს. 5 წ.
ასტარიდან კვირ., ირგვლ. მოს. დილ. [illegible] ს. 44 წ.

განცხადებანი

ჭურჭლის მაღაზია
გ. კ. აპრიკოვისა.
მიხეილის ქუჩ. № 131, „აპოლლოს“ პროექტორის გასწვრივ.

დანიშნულია **იაფი ვაჭრობა** მოკლე დროთი, ბროლისა, ფაიფურისა, ქაშანურისა, ემალიან, ნიკელისა და ალიუმინის **ჭურჭლეულისა** და სამზარეულოს სხვა და სხვა ჭურჭლისა.

მოკლე პრეისკურანტი:
ჭიქები ჩაისა დუჟინი 45 კ., ჭიქები ღვინისა 35 კ., ჩაის ლამბაქები 45 კ., ღვინის ფილები 75 კ., ყავის ფინჯნები (ლამბაქებით) 12 კ., ჩაისა 13 კ., სურათებიანი ჩინიკები 35 კ., ჩაის მოწყობილება 2 მ. 85 კ. და სხვა.

867. გ. ა. აპრიკოვი.

ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო.
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.
დილით:
„606“—11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ზ. გ. აგასაროვი: 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.
კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო ქალებისა და ბავშვებისა,
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ა. ბ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმ.

საღამოთი:
მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთა ვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის
1078 დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

საბურთალოზე
(ჩანიშვილის სახ.)
— იხსნება —
აფთიაქის საწყობი,
სადაც მოიპოვება ყოველგვარი ნივთები.
იქვე იმყოფება **ექიმი და ფერშალი.** ავადმყოფები მიიღება ყოველ-დღე 11½ ს. 1 ს.-დე.

მუხრანის კერძო
სამკურნალო
საწოლი კრაოტებით.
19 თებერვლის ქუჩა, იგივე რიყე, № 43, ახალ მუხრ. ხიდის პირდაპირ, **ტელეფ. № 370.**
დასაწოლად ავადმყოფნი მიიღებიან ყოველ დროს, ხოლო გასასინჯად ფეხზე მოსიარულე ავადმყოფნი მიიღებიან დანიშნულ დროზე შემდეგ ექიმების მიერ:

		დილით:
შინაგანი სნეულებანი, ბავშვთა და მოზრდილ.	სპეკტიორი გ. მ. . . .	8½—9½ ს.
	გაზაზოვი ა. ა. . . .	10—11 ს.
	იაშვილი ა. ლ. . . .	11—12 ს.
	აბაკელია ი. კ. . . .	12—1 ს.
	ლოლობერიძე გ. მ. . . .	12½—1½ ს.
სადოსტაქრო სნეულებანი:	გრიგორიანი ა. ი. . . .	11—12 ს.
	მელკონიანი გ. ა. . . .	12—1 ს.
	ჯაში ი. ი. . . .	9½—10½ ს.
[illegible]	გრიგორიანი ა. ი. . . .	11—12 ს.
[illegible]	ექიმი-ქალი საყვარელიძე დ. გ.	11—12 ს.
	ლოლობერიძე . . .	12½—1½ ს.
სნეულებ. ყურ., ყელის და ცხვ.	შტრეიხერი მ. ა. . . .	12 12½ ს.
[illegible]	აპელნიკოვი გ. ი. . . .	1½—2½ ს.

ფასი გასინჯვისა 50 კ. საწოლი კრაოტი 3 მან. დღეში. ცალკე ოთახი 5 მან. ოპერაციები მორიგებით. **შეშხაპუნება წამლებისა „606“ და „914“**, ყვავილის აცრა, ელექტრონით წამლობა, ძიძის გასინჯვა, დაზელა (მასაჟი), მოწმობის შედგენა და სხვა, შეღავათიანი საფასურით. 1581

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოსულია და იყიდება
არჩილ ჯორჯაძის
თხზულებანი
I ტ. „ეროვნულ პრობლემის გარშემო“ ფასი „ „ „ 75 კ.
II „ „ჩვენი საზოგადოებრიობა“ „ „ „ „ „ 80 კ.
III „ „ნააზრევი“ „ „ „ „ „ „ „ 65 კ.
IV „ „წერილები „ცნობის ფურც.“-„შრომაში.“ 1901—1902 წ. „ 85 კ.

გამოსულია და იყიდება
ი. გედევანიშვილის პიესა
„გამცემი“
დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

გამოსულია და იყიდება
ნ. შიუკაშვილის
პიესა „მეგობრობა“, დრამა 4 მოქმედებ.
ფასი 30 კაპ.

ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში
იყიდება ახლად მიღებული წიგნები.

ნ. მარრ. Исторія термина „абхазъ“ . . . . . . ფ.	15 კ.
Грузинскія приписки греческаго Евангелія изъ Кориліи	40 „
Къ вопросу о халачахъ армяновѣдѣнія	15 „
Яфетическое происхожденіе абхазскихъ терминовъ родства . . .	10 „
Объ армянской иллюстрованной рукописи изъ Халкедонитской среды . . .	10 „
Гдѣ сохранилось сванское склоненіе?	10 „
Происхожденіе изъ охотничьяго быта двухъ грузинскихъ терминовъ уголовнаго права: გერში და სანაშირო	15 „
Яфетическіе элементы въ языкахъ Арменіи I .	5 „
იგივე . . . . . . II . .	15 „
იგივე . . . . . III . .	[illegible]5 „
Къ вопросу о положеніи абхазскаго языка среди яфетическихъ.	[illegible] „
Paul Peeters, S. I. S. Romain le Neomartyr რომანოზ ახალ-მოწამე ქართული ისტ. წყაროებით.	10 „

ადრესი ტელეგრამისათვის: Тифлисъ Грамотность. 1141.

მიიღეთ საუკეთესო გემოს მარცვლოვანი,
ქვირითის (კეტოვ.) ზიზილალა,
თევზის მრეწველნი
ძმ. ძევველოვები.
პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.
ტელეფონი № 712.
1131

გამოსული ქერჩის
სელიოტკები,
და ყოველგვარი
კონსერვები.
მოგვდის მუდამ დღე საკუთარი სამრეწველოდან ახალი თევზი, ხიზილალა, (ქიტკა), ორაგული, თართი, ტარაღანა, ლოქო და სხვა. და აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში **მოხარშული დოში, ზურგიელი,**
და ყოველგვარი
შავი ხიზილალა

სავაჭრო სახლი
ძმ. სისიევები და ამხ.
ტფილისი, ვაგზლის ქუჩა № 6. **ტელეფ. № 197.** მომავალ **დღესასწაულებისათვის**
ყველგან
დაგზავნილია გასასყიდად
ა—რ—ა—ყ—ი
„ჭაჭისა და კახური“,
კახურ ღვინისა და ყურძნისაგან გამოხდილი, საკუთარ სპირტ-ღვინო-არყის ზავოდებში დამზადებული **კახეთში.**
ღირსებით არ ჩამოუვარდება „კონიაკს“.
მოითხოვეთ ყველგან. 1634

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, № 12 სტამბა „შრომა“.